F 4266 8188

ჯ. სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 7 (239) გამოცემის მე-14 წელი

1970 წლის 10 აპრილი

ყველაზე ადამიანური ადამიანი

ასე იცნობენ ლენინს მთელ პლანეტაზე.

ლენინს იცნობენ ყველგან, დედამიწის ყველა კუთხეში. ისტორიამ არ იცის მეორე პიროვნება, ესოდენ მახლობელი და ნათელი იდეალების მატარებელი, ესოდენ დემოკრატიული, ხალხთა მასების ჭეშმარიტი ტრიბუნი.

პროლეტარიატის დიდი ბელადი.

გენიალური მოაზროვნე.

მასების ბრძენი წინამძღოლი.

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი.

შეუძლებელია ლენინის დამსახურებათა აღნუსხვაც კი.

უამრავი წიგნი, ბიოგრაფიული ნარკვევი, თანამებრძოლთა მოგონება, რომანი, ლექსი და პოემა, კინოფილმები და სპექტაკლი, ფერწერული ტილო და სკულპტურული პორტრეტი — მთელი ლენინიანა შთაგონებით უმღერის მის დიად საქმეებს. და მაინც ლენინის ცხოვრება, ლენინური აზრის გენიალობა კვლავ ელის შთაგონებულ მხატვარს, როგორც თემა მუდამ თანამედროვე, საკაცობრიო, ამაღელვებელი და ბრძნული.

ხალხის წიაღში აღზრდილს, ჰუმანური ოჯახის შვილს, უბრალო ადამიანების გულითად მეგობარს სიყრმიდანვე ესმოდა ჩაგრულ ადამიანთა გულისთქმა, ვოლგისპირას მოსმენილ დამაშვრალთა სიმღერებში იგი ხვდავდა ხალხის ჭირ-ვარამს, ახალგაზრდული მგზნებარებით იხვდებოდა წინ და მოქმედებისა და ბრძოლის საკუთარ გზას ეძებდა.

ეს გზა მიდიოდა მშრომელი მასებისაკენ, პროლეტარიატის შეკავშირებისაკენ, კომუნისტური პარტიის შექმნის იდეისაკენ.

და შეიქმნა ასეთი პარტია.

რომელმაც შეძლო დაერაზმა მასები.

გამოსულიყო ორგანიზატორად და წინამძღოლად.

ერთი მიზნისაკენ წარემართა პროლეტარიატის აზვირთებული ტალღა და ხელში აეღო რევოლუციის დროშა.

რევოლუციამ გაიმარჯვა. გაიმარჯვა მშრომელმა ხალხმა, რომელსაც ბოლშევიკთა პარტია, ლენინის პარტია ხელმძღვანელობდა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როცა ქვეყანას უჭირდა, როცა არ იყო სურსათი, მოშლილი იყო მეურნეობა, ტრანსპორტი, ლენინი ცხოვრობდა როგორც ყველა რიგითი ადამიანი, მას სძულდა პრივილეგიები, სხვებისაგან გამორჩევა, ცხოვრობდა და შრომობდა ისე, როგორც ყველა მისი თანამებრძოლი.

მასთან რჩევისათვის მიდიოდნენ ქვეყნის უშორესი კუთხეებიდან. მიდიოდნენ სიმართლის გასარკვევად, მიდოდნენ როგორც მეგობართან და საიმედო ადამიანთან.

და ისინიც, ლენინთან შეხვედრით შთაგონებულნი და აღფრთოვანებულნი, თავიანთ სოფლებსა და ქალაქებში ბრუნდებოდნენ მტკიცე რწმენით, ბრძოლის სურვილით, გაასკეცებული ენერგიით.

შთამომავლობისათვის ცნობილია ლენინის უდიდესი ენერგია და შრომისმოყვარეობა.

იგი იყო ყველა დიდი საქმის სულისჩამდგმელი, წიგნის განუყრელი მეგობარი და დამფასებელი, უცხოურ ენათა მცოდნე, გენიალური მოაზროვნე და ფილოსოფოსი.

და ამასთან ერთად პოულობდა დროს:

ახალგაზრდა თაობასთან სასაუბროდ,

მუსიკის მოსასმენად.

მხატვრული ლიტერატურის წასაკითხად.

საოცრად კეთილსა და ჰუმანურს, მტერთან შეურიგებელს, პრინციპულს, არ ჰქონია სხვა უფრო დიდი მიზანი, ვიდრე კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლა.

და დღეს მადლიერი კაცობრიობა დიდი სიყვარულით უპასუხებს ლენინს.

მთელ დედამიწაზე აღნიშნავენ გენიალური ბელადის დაბადების 100 წლისთავს.



თბილისი. ლენინის მოედანი.


დღეს ნომერშია:

● „სამშობლოს“ მკითხველებს ალბათ დაინტერესებთ ზურაბ შარაშენიძის წერილი ჩვენი ირანელი თანამემამულეების — ფერიდნელი ქართველების შესახებ. ზურაბი ავტორია ახლახან გამოცემული წიგნისა — „ახალი მასალები ფერიდნელი ქართველების შესახებ“.

იმავე მე-2 გვერდზე თქვენს ყურადღებას მივაქცევთ რეზო მაჭავარიანის ნარკვევს ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულის, კარგი მეცნიერისა და სამაგალითო მამის — პროფესორ გელა ბანძელაძის შესახებ.

● მესამე გვერდი ხელოვნების, ლიტერატურისა და კულტურის საკითხებს ეძღვნება.

● ჩვენმა საზღვარგარეთელმა თანამემამულემ ქალბატონმა თამარ პაპავამ ცოტა ხნის წინათ პარიზში გამოსცა წიგნი — „გაბნეული საფლავები“. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის გიგლა ხანგველაძის შეხედულებას ამ წიგნზე გაეცნობით ჩვენი გაზეთის მე-6 გვერდზე.



● კიდევ რამდენიმე დღე და მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა იზეიმებს პროლეტარიატის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ამ დიადი თარიღისადმი მიძღვნილ მასალებს წაიკითხავთ ჩვენი გაზეთის მე-4 და მე-5 გვერდებზე.



სიკეთე

რა არის სიკეთე, როგორია ამ ცნების არსებითი ნიშნები, ვის შეიძლება ეწოდოს კეთილი კაცი და, ბოლოს, პლანეტის მკვიდრთა რა ნაწილს შეადგენენ ის ადამიანები, ქვეყნად უანგარო სიკეთეს რომ თესავენ? აი ის საკითხები, რომელთა განხილვას დღეს თქვენთან ერთად შევეცდები და რომელთა არა მარტო შესწავლა, არამედ შესისხლხორცებაც გევალებათ, — ასე დაიწყო ლექცია ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გელა ბანძელაძემ.

სიკეთე — კაცური კაცის მიერ გაღებული, უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად.

სიკეთე — ერთისათვის ცხოვრების მთავარი მიზანი, მეორისათვის მხოლოდ ყურძოკრულად გაგებული ცნება.

სიკეთე — უველასათვის ხელმისაწვდომი, მაგრამ ბევრისაგან ასე შორს მდგომი...

ლექცია გრძელდება. სმენადქცეული სტუდენტების გონება სიკეთეს დასტრიალებს, თვალი კი იმ ხნულს ჭვრეტს, კარგისმქნელთ ასე ღრმად რომ დაუმჩნევიათ დედამიწისათვის.

თანდათან იკვეთება სიკეთის სიდიადე, უსაზღვროება, აუცილებლობა...

ვაკვირდები მერხებთან მჯდომი ახალგაზრდების სახეებს და ვგრძნობ, როგორ ახლო მიიყვანა ისინი ლექტორმა სიკეთესთან, ვგრძნობ და არც მიკვირს. თვით ორატორი ხომ სიკეთის, კაცური კაცობის, ვაჟკაცობისა და სამშობლოს სიყვარულის ის მაგალითია, რომლისკენაც თითოეული ჩვენგანი უნდა მიისწრაფოდეს...

სიკეთის მადლი სულ პატარამ იგრძნო, როცა მთელი ოჯახი ლეჩხუმის სოფელ დერჩიდან საცხოვრებლად ბათუმს გადავიდა და როდესაც კეთილმა ადამიანმა — ცნობილმა ექიმმა იოსებ ჩარკვიანმა უოველგვარი გასამრჯელოს გარეშე დომენტი ბანძელაძის ოჯახს თავის სახლში მიუჩინა ბინა.

წარჩინებით დაამთავრა სკოლა, ექვსი შვილის მარჩენალ მშობლებს სიბეჯითით გადაუხადა ამაგი.

სტუდენტობის წლებში მოეკიდა ოჯახს. ლილი გაბიძაშვილს, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტს, მასავით მეოცნებესა და ალალი გულის პატრონს, სამუდამოდ დაუკავშირა ბედი. ცხადია, უჭირდათ. და აი ცხოვრების გზაზე კვლავ შეხვდა კეთილი ადამიანი. პროფესორმა ალექსანდრე ქუთელიამ მესამე კურსის სტუდენტი სამუშაოდ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში მიიწვია.

წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი, იმუშავა უურნალისტად, იყო საქართველოს ახალგაზრდობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი — კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. მალე ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა, შემდეგ კი, 34 წლისამ, სადოქტორო დისერტაცია დაიცვა და სათავეში ჩაუდგა უნივერსიტეტის ეთიკის, ესთეტიკისა და ათეიზმის კათედრას.

დღეს პროფესორი გელა ბანძელაძე საქართველოს ერთ-ერთი დიდი უმაღლესი სასწავლებლის — თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორია.

ცხოვრების ღრმა ცოდნა, დიდი ტაქტი, ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული უნარი და, რაც მთავარია, სიკეთის უანგაროდ გაცემა — აი რა ახასიათებს პედაგოგიური კადრების სამჭედლოს ახალგაზრდა ხელმძღვანელს.

იშვიათია კაცი, ასეთ მზრუნველობას რომ იჩენდეს სხვებისადმი. გულით იზიარებს მეგობრების ლხინსა თუ დარდს, იცის, რა აწუხებს თითოეულ მის თანამშრომელსა და სტუდენტს: ბინის სივიწროვე თუ სტიპენდიის უკმარობა, ბავშვის ავადმყოფობა თუ მოუწესრიგებელი პირადი ცხოვრება. იცის და ხშირად მათ დასახმარებლად შესაძლებელზე მეტსაც აკეთებს.

მაგრამ უსაქმურობას, სიზარმაცეს, დაუდევრობას, ტყუილის თქმასა და სხვისი ხელით ნარის გლეჯას ღვიძლ შვილსაც არ აპატიებს.

...მთელი დღე დავყავი რექტორის კაბინეტში, საათი საათს მისდევდა, მომსვლელებს კი ბოლო არ უჩანდათ. საათების ხელახალი გაწყვილება თუ სასწავლო გეგმების შეთანხმება, მომავალი სიმპოზიუმებისა თუ სამეცნიერო სესიების დაგეგმვა, სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე წამოჭრილი საკითხების მოგვარება თუ ახალი პროფესორის მოწვევა — რექტორი უურადღებით უსმენდა უველა მოსაუბრეს და მისთვის დამახასიათებელი გულითადობით საჭირო მითითებებს იძლეოდა. არავინ დარჩენია უპასუხო, გულნატკენი, განაწყენებული.

— მამა გარდამეცვალა, კიევში ვსწავლობ, დედას მარტოს ვერ დავტოვებ. იქნებ დამეხმაროთ და თქვენს ინსტიტუტში გადმომიყვანოთ,—ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობს ქალიშვილი და პასუხის მოლოდინში ტუჩები ნერვულად უთრთის.

— აუცილებლად დაგეხმარებით, განცხადება დატოვეთ, ხვალვე მიაკითხეთ ფაკულტეტის დეკანს...

— სწავლის პერიოდში ინსტიტუტიდან ინსტიტუტში გადასვლა დებულებით რომ დაუშვებელია? — ვეკითხები რექტორს.

—ჰო, მაგრამ თუ ადამიანს უჭირს?..

დღე იწურება. მომსვლელებს კი ბოლო არ უჩანთ. სალამოხანს როგორც იყო მოიცალა და ფოსტის განხილვას შეუდგა. საქმიან ქაღალდებს პირადი ბარათები ჰარბობს. კითხვები, კითხვები, საოცრად განსხვავებული და ზოგჯერ უცნაურიც: როგორ ესმის მას, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს სხვადასხვა ცხოვრებისეული საკითხი, როგორ მიაღწიონ დასახულ მიზანს, როგორ იცხოვრონ კიდევ უფრო შინაარსიანად და ლამაზად, როგორ აკეთონ კეთილი საქმე, როგორია მათი ლექსები...

უველას უნდა ვუპასუხო, თუ პირადად ვერ გავუგზავნე ბარათი, ვეცდები გაზეთის, რადიოს ან ტელევიზიის საშუალებით გავცე პასუხიო, — მიხსნის პატივცემული გელა. მართლაც, გაზეთ „სოფლის ცხოვრებასთან“ არსებული ახალგაზრდული კლუბის „ცისარტყელას“ თავმჯდომარე რედაქციების ხშირი და სასურველი სტუმარია.

შინ მომიწვია. გზად სახავშვო ბაღში შევიარეთ. დათო თქვენმა უფროსმა ქალიშვილმა წაიყვანაო, უთხრა აღმზრდელმა. ეწყინა. სიამოვნება წამართვეს, ჩემს პატარა ბიჭთან შეხვედრა აუწერელი სიხარულია; დაღლას მავიწყებს, შემიძლია საათობით უკან ვდიო, მის უველა შეკითხვას ვუპასუხო და იმდენი ზღაპარი ვუამბო, რამდენსაც მოისურვებსო.

მამის სიყვარულში დათოს პრიორიტეტი ოჯახში უველამ აღიარა, მაგრამ მზრუნველობასა და ალერსს მოსიყვარულე მამა ერთნაირად უნაწილებს მანანასა და დომენტის, ლალისა თუ იოსებს.

დიახ, გელა ბანძელაძე ხუთი შვილის მამაა! ვიყოთ პირდაპირნი და ვთქვათ, განა ბევრია ჩვენში ადამიანი, რომელიც ასეთ ახალგაზრდა ასაკში ცნობილი მეცნიერიც იყოს, საზოგადო მოღვაწე და სამშობლოს ხუთ შვილს უზრდიდეს? ეს უკვე ერისათვის გაღებული სიკეთეა და აბა, რა უფლება გვაქვს ამგვარი ფაქტი განსაკუთრებით არ მოვიხსენიოთ?

კარი ქალბატონმა ლილიმ გაგვიღო. ღიმილი და სითბო შეაგება ჩვენს მისალმებას. მინდოდა რაღაც განსაკუთრებული მეთქვა ქალისათვის, 25 წელიწადი მფარველ ანგელოზად რომ დასტრიალებს თავს ამ დიდ ოჯახს, მაგრამ შესაფერი ვერაფერი მოვახერხე, გაჩუმება ვამჯობინე, იქნებ ასეც სჯობდა...

მასპინძელმა ძველებური, წელში გამოყვანილი ჭიქები წითელი ღვინით შეავსო. მე ოჯახი დავულოცე, მან სიკეთის სადღეგრძელო შესვა.

სიკეთისათვის გაჩენილმა თამადობაც სიკეთით დაიწყო.

რეზო მაჭავარიანი

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რევაზ იაკობის ძე ფრუიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხანაგი **რევაზ იაკობის ძე ფრუიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გიორგი ძოწენიძე,**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზინაიდა კვაშაძე**

თბილისი,
1970 წლის 3 აპრილი.

◆

რევაზ ფრუიძე დაიბადა 1923 წელს ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1941-1943 წლებში გაწვეული იყო წითელი არმიის რიგებში, მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. 1943 წელს დაიჭრა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე.

1943-1946 წლებში მუშაობდა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში ხარატად, ტექნიკოსად, ოსტატად.

1948 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკური ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო უფროს ინჟინრად საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოში.

1953 წლიდან რევაზ ფრუიძე ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზეა. 1961-1965 წლებში მუშაობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1965 წელს აირჩიეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. ამ პოსტზე ყოფნის დროს ხელმძღვანელობდა მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის საკითხებს.

რევაზ ფრუიძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, არის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ფერეიდნელი ქართველები

ზურაბ შარაშენიძე

სამშობლოს გარეთ მცხოვრებ ქართველთა ბედი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა ქართველ საზოგადოებაში. განსაკუთრებით იმ ქართველებისა, რომლებიც მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გასულ საუკუნეებში მოხვდნენ სხვა ქვეყნებში, მაგრამ შეინარჩუნეს ეროვნული თვითშეგნება და ასე თუ ისე შეინახეს ქართული ენა და კულტურა. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება ირანის ერთ-ერთ რაიონში — ფერეიდანის მხარეში კომპაქტურად მცხოვრები ქართველობა, რომლებიც XVII საუკუნის დამდეგს შაჰ-აბასმა აყარა საკუთარი მიწიდან და ირანში გადარეკა (ცნობილი ირანელი ისტორიკოსის ისჰანდერ მუნშის ცნობით, მარტო 1616 წელს შაჰ-აბასმა კახეთიდან ირანში გადაასახლა 130 000-ზე მეტი ქართველი მამაკაცი და ქალი).

ქართველი მოსახლეობის აყრა-გადასახლებით შაჰ-აბასი ახორციელებდა საკუთარ მიზნებს. მას განზრახული ჰქონდა არა მარტო საქართველოს ტერიტორიის გამოყენება თავისი შეხედულებისამებრ, არამედ ირანში ჩამოყვანილი ქართველი მოსახლეობის გამოყენება სხვა ურჩი, სპარსელი მოსახლეობისადმი მტრულად განწყობილ ტომებთან დასაპირისპირებლადაც.

შაჰ-აბასმა ბევრი ქართველი დააწინაურა და ჩაიცხა თავის ლაშქარში. ჩვენთვის კარგად ცნობილი ისტორიული მეცნიერი დავით ლანგი წერს: „აბასი დიდად აფასებდა მათ ენერგიასა და ნიჭს, და ძლიერ სურდა მიეზიდა ქართველი მეომრები და საზოგადო მოღვაწენი თავის კარზე, რათა ხელი შეეშალა მათთვის, სამშობლოში შაჰის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. იყვანდა რა სამსახურში დამორჩილებული მცირე ერების წარმომადგენლებს, შაჰს დასახული ჰქონდა გონივრული პოლიტიკა, შეერყია ყიზილბაშ ურდოთა ძალა, რომელთა მეროვე ერთგულებაზე იყო დამოკიდებული მანამდე დინასტიის ბედი“.

ცნობილია, რომ ქართველი მოსახლეობა ჩაასახლეს არა მარტო ფერეიდანში, არამედ ხოროსანში, მაზანდარანში, გილანში, ირანის აზერბაიჯანში, ქურთისტანში, ლურისტანში, ხუზისტანსა და ფარსში. ქართველების დიდი ნაწილი შეერწყა და აითქვიფა ირანის მოსახლეობაში. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დიდი რაოდენობით ყოფილა ირანში ქართველობა, მოვიყვანთ XVII საუკუნის მეორე ნახევრის ევროპელი მოგზაურის ტავერნიეს გადმოცემას, თუმცა იგი რამდენადმე გადაჭარბებულია. იგი წერს: „ძალიან ცოტაა ისეთი სპარსელი, დაწყებული მეფიდან მის ყველაზე დაბალ მსახურამდე, რომელსაც არ ჰყავდეს ქართველი დედა ან მამა, ან ქართული სისხლი მაინც არ ჰქონდეს“.

დღეისათვის ქართული ენა და ქართული ტრადიციები შენარჩუნებული აქვთ მხოლოდ ფერეიდნელ ქართველებს.

საქართველოში უკვე XVII საუკუნეში იცოდნენ, რომ ქართველთა დიდი კოლონია არსებობდა ფერეიდანში, რომელიც ირანის ცენტრალურ მთიან რაიონშია მოთავსებული და ქალაქ ისფაჰანიდან 100-120 კილომეტრით არის დაშორებული. პირველი ქართველი მოგზაური, რომელმაც ფერეიდნელი ქართველები ინახულა, ლადო ღლონტი იყო. მან 1894 წელს იმოგზაურა ირანში. 1926-27 წლებში ფერეიდნელ ქართველებს ეწვია ამბაკო ჭელიძე. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ირაკლი კანდელაკს მიეცა იქ ჩასვლის საშუალება.

1965 წელს თეირანში ყოფნისას შევხვდი ფერეიდნელ ქართველებს. მაშინ არც ერთმა მათგანმა, ვისთანაც საუბარი მქონდა, არ იცოდა ქართული წერა-კითხვა. მაგრამ როდესაც ხელმეორედ, 1967 წელს ჩავედი თეირანში, გამოირკვა, რომ ქართული ანბანი უველას შეესწავლა. მათ გადაეწერათ ქართული ანბანი და თავიანთი მეგობრების, ნათესავებისა თუ ნაცნობებისათვის დაეგზავნათ. ერთი სიტყვით, დიდ ინტერესს იჩენენ ქართული ენის შესწავლისადმი, აინტერესებთ უველაფერი ჩვენს ქვეყანაზე. მართალია, ფერეიდნელებს უჭირთ ქართულად ლაპარაკი და მეტყველებისას ბევრ სპარსულ სიტყვას ხმარობენ, მაგრამ გრძნობ, რომ სურვილი აქვთ კარგად შეისწავლონ დედაენა. სწორედ ამით აიხსნება, რომ ფერეიდნელი ქართველი პირველსავე შეხვედრისას გეტყვის, რომ მან კარგად არ იცის ქართული, არა აქვს ქართული „დედაენა“, არა აქვს სახელმძღვანელო და მხოლოდ ოჯახში ლაპარაკობენ ქართულად.

ყოველთვის, როცა კი ისინი თავისუფალ დროს იშოვიდნენ, მოდიოდნენ ჩვენთან, ქართველ სპეციალისტებთან და გვესაუბრებოდნენ ფერეიდანზე, მის შესანიშნავ ბუნებაზე. ზოგიერთი მთის, გორის, გამოქვაბულისა თუ წყაროსათვის ქართული სახელებიც კი დაურქმევიათ. ჩვენც ვუყვებოდით ბევრ რამეს ჩვენი ქვეყნისა და მისი ხალხის შესახებ.

მეცნიერულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ფერეიდანის მხარეში მცხოვრები ქართველების რაოდენობის შესახებ. ფერეიდნელების გადმოცემით, აქ დაახლოებით 50.000-მდე ქართველი უნდა ცხოვრობდეს. როგორც ფერეიდნელი ქართველების საუბრიდან ირკვევა, მათ დიდი ინტერესი აქვთ თავიანთი ძველი სამშობლოსადმი, სურთ გაიგონ, როგორი ქვეყნიდან არიან ისინი გადასახლებული სამნახევარი საუკუნის წინათ.

ახლა, როცა თანდათან უმჯობესდება ირან-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა და მტკიცდება კეთილმეზობლური დამოკიდებულება, არსებობს შესაძლებლობა, რომ ფერეიდნელები ჩამოვიდნენ საბჭოთა საქართველოში და გაეცნონ ჩვენს მხარეს. ასევე უახლოეს მომავალში ჩვენც მოგვეცემა საშუალება უფრო მეტი კონტაქტი დავამყაროთ ირანში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან.

„დოლურის“ გასტროლები

ახლახან იაპონიიდან დაბრუნდა ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი „დოლური“, რომელმაც კონცერტები გამართა ამ ქვეყნის დიდ ქალაქებში — ტოკიოში, ოსაკასა და კიოტოში. ანსამბლმა იაპონიაში ყოფნისას საქართველოს ხელოვანთა სახელით მონაწილეობა მიიღო „ექსპო-70“-ში.

„დოლურმა“ არსებობის ექვსი წლის მანძილზე შემოიარა საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხე უკრაინიდან შორეულ ალმოსავლეთამდე. ანსამბლის სოლისტები 1966 წლის საკავშირო თემატური საესტრადო კონკურსისა და 1967 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის ფესტივალის ლაურეატები არიან. გასტროლებზე იყვნენ გერმანიაში, პოლონეთში, უნგრეთსა და თურქეთში.

ქართული ხელოვნების, კერძოდ, ქართული ცეკვის ტემპერამენტის, რიტმის საუცხოოდ ჩვენებისათვის „დოლურმა“ საყოველთაო სიყვარული და აღიარება დაიმსახურა.

ცნობა კოლუმბიიდან

„ორერას“ სოლისტს ვახტანგ კიკაბიძეს მაყურებელი იცნობს როგორც კინომსახიობსაც. პირველი როლი მან შეასრულა ფილმში „შვსვედრა მთაში“, შემდეგ კი წარმატებით განასახიერა მთავარი გმირი გიორგი დანელიას სურათში „არ დაიდარდო“.

ახლახან კოლუმბიის ქალაქ კარტახენში გაიმართა საერთაშორისო კინოფესტივალი. სხვა ფილმებთან ერთად ფესტივალზე ჩვენმა ქვეყანამ „არ დაიდარდოც“ წარადგინა. და აი კოლუმბიიდან მოვიდა სასიხარულო ცნობა: მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის ვახტანგ კიკაბიძეს მიენიჭა პრემია.

„მშვიდობით იარაღო“

ახლახან მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრში გაიმართა ერნსტ ჰემინგუეის ცნობილი რომანის — „მშვიდობით, იარაღს“-ს მოტივების მიხედვით დაწერილი პიესის პრემიერა. წარმოდგენაში მთავარ როლს ასრულებს საქართველოს დამსახურებული არტისტი არიადნა შენგელაია.

„დრო 24 საათი“

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ამას წინათ მაყურებელს უჩვენა ვალერიან კანდელაკის ჰეროიკული პიესა „დრო 24 საათი“.

წარმოდგენა დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გიორგი ქავთარაძემ.

„იდეა გაიმარჯვებს“

ნულუჯიძის რაიონის სახალხო თეატრის კოლექტივმა ლენინის საიუბილეოდ მიძღვნილი რაიონული დათვალიერებისათვის მოამზადა და მაყურებელს უჩვენა შალვა დადიანის დრამა „იდეა გაიმარჯვებს.“



თბილისის სპორტის სასახლე ხალხით არის გაჭედილი.

ესტრადაზე გოგონა დგას. იგი მიკროფონს ვერ სწვდება. აპარატს დაბლა სწევენ და დარბაზში იღვრება ლამაზი ტემბრის მკერდისმიერი ხმა. გოგონა მღერის ქართულად, რუსულად, იტალიურად, ფრანგულად...

ეს იყო ამ ხუთიოდე წლის წინათ.

მაშინ ირმა სოხაძე 9 წლისა გახლდათ.

სულ პირველად კი ხუთი წლისა გამოვიდა ტელევიზიით.

ნიჭიერი ბავშვებით საქართველოში ვერავის გააკვირვებ. მაგრამ, როდესაც ამ პატარა გოგონამ ქართული საბავშვო სიმღერების შემდეგ იტალიური სიმღერაც შეასრულა კლაუდიო ვილას რეპერტუარიდან, მსმენელები მიხვდნენ, რომ მათ წინაშე გამორჩეული ნიჭის პატარა ხელოვანი იდგა.

ახლა ირმა მუსიკალური ათწლედის მეშვიდე კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა. ხშირად გამოდის აკადემიურ და საჩვენებელ კონცერტებზე. მალე დაუკრავს საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

ცენტრალურმა ტელევიზიამ მოსკოვიდან გადაცემა მოაწყო ინდოეთისათვის. ირმამ ჰინდის ენაზე შეასრულა რამდენიმე სიმღერა. შემდეგ უამრავი წერილი მიიღო ინდოეთიდან. გოგონას აქვს საუკეთესო სმენითი მეხსიერება, რაც საშუალებას აძლევს დაიხსომოს უცნობ ენაზე მოსმენილი მელოდია. ახლა პატარა მომღერლის რეპერტუარშია სიმღერები 18 ენაზე.

ირმა სიცოცხლით სავსე გოგონაა. უყვარს ხატვა და ინგლისური ენიდან პატარ-პატარა მოთხრობების თარგმნა. და ცხადია, უყვარს საგასტროლო მოგზაურობა. ყოფილა საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში, პარიზში, ვარნაში...

ცოტა ხნის წინათ საქართველოს ტელევიზიამ ნორჩ მომღერალზე შექმნა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პატარა სიმღერა“.

დიდი და ნათელი მიზნები აქვს ნიჭიერ გოგონას, ნიჭის საასპარეზოდ კი ფართო გზა გადაშლია წინ.

ნარგიზა მგელაძე

...ნიჭსა გზა ფართო

გაზაფხულის თბილი დღეები და პოეზიის დიდი დღესასწაული ერთად შემობრძანდა ჩვენს დედაქალაქში. შემობრძანდა და ბევრი სიხარული მოგვიტანა. თბილისში სამ ენაზე აჟღერდა მეგობრობის, ძმობისა და სიყვარულის სადიდებელი, ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ლირიკის საუკეთესო ქმნილებანი.

ყვავილებით ხელში ეწვივნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკის ხალხთა პოეზიის დღესასწაულის მონაწილენი ქართველი ხალხის წმინდა სავანეს — მთაწმინდას. შემდეგ გამოჩენილი სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანისა და ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტის მირზა ფათალი ახუნდოვის საფლავებსაც ესტუმრნენ, გაზაფხულის პირველი ყვავილებით შეამკეს. საღამოს კი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაისმა სამი ხალხის პოეზიის დღესასწაულის დასკვნითი აკორდი — გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო.

პოეზიის დღესასწაული შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გრიგოლ აბაშიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის მწერალთა კავშირების გამგეობის მდივნები მირზა იბრაჰიმოვი და ჰრაჩია ოვანესიანი.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი პოეტები. ვოკალური ანსამბლის „გორდელას“ თანხლებით ქართველი პოეტების ლექსები წაიკითხეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა სერგო ზაქარიაძემ, და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გურამ საღარაძემ. თბილისელმა მოსწავლეებმა პოეზიის მონაწილეებს ცოცხალი ყვავილები მიართვეს.

მეგობრობა, რომელსაც ფესვი საუკუნეებში აქვს გადგმული, კიდევ ერთხელ დადასტურდა ამ შესანიშნავი დღესასწაულით.

მეგობრობა, ძმობა



სურათზე: პოეზიის დღესასწაულის მონაწილენი ცოცხალი ყვავილებით ამკობენ ლენინის ძეგლს.

მიხეილ კვირიკაშვილის ფოტო

კვლავ რუსთაველის ქვეყანაში

ამ დღეებში თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორი ლუის ფრენსის სოლანო.

ბატონი სოლანო შუა საუკუნეთა ფრანგული და პროვანსული ლიტერატურის მკვლევარია. ჰარვარდის უნივერსიტეტში კითხულობს კურსს — შუა საუკუნეთა პროვანსული პოეზია, მისი წყაროები და ანალოგიები. საგულისხმოა, რომ ეს კურსი ძირითადად „ვეფხისტყაოსანს“ განხილვას მოიცავს. ბატონი სოლანო მშვენივრად ფლობს ძართულს და ორიგინალში კითხულობს რუსთაველს.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ნადია მეგაძეიშვილს შესაძლებლობა ჰქონდა პირადად გასცნობოდა და ესაუბრა ამ შესანიშნავ ადამიანთან.

● როდის და რატომ დაინტერესდით ქართული ენის შესწავლით?

— შუა საუკუნეთა პროვანსული ლიტერატურის კვლევისას გვერდს ვერ ავუვლიდი რუსთაველს. მისმა გენიალურმა ქმნილებამ „ვეფხისტყაოსანმა“ ისე მომხიბლა და დამატყვევა, რომ გადავწყვიტე, ორიგინალში წამეკითხა იგი და საქართველოც მენახა.

● ვინ გეხმარებოდათ ენის შესწავლაში?

— არასდროს არავისგან არ მომისმენია ქართული ენის გაკვეთილი, არ მქონია შემთხვევა მელაპარაკა ქართულად. მხოლოდ რუსთაველის გენია მიმიძღოდა წინ. რუსთაველის პოემა სულიერ სიმხნევეს მმატებდა და, დამეთანხმებით, იქ, სადაც დაუოკებელი სურვილი და მიზნისაკენ სწრაფვაა, მიუდწეველიც არაფერია.

● როდის ინახულეთ პირველად საქართველო?

— ორი წლის წინათ. ბავშვივით ვიყავი აღტაცებული, როდესაც ბედნიერება მხვდა წილად, მონაწილეობა მიმეღო დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეში. ორ კვირას დავყავი საქართველოში — რუსთაველის ქვეყანაში. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ვესაუბრე ბევრ შესანიშნავ მეცნიერს, გავიჩინე მრავალი მეგობარი.

● როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილებები?

— იმდენად დიდი, რომ შინ დაბრუნებული ყველას საქართველოს მომხიბვლელობაზე, მის ხალხზე, მის ისტორიასა და კულტურაზე გვლაპარაკებოდი. ბოსტონში წავიკითხე ლექცია „მიჯნურობა შუა საუკუნეების ქართულ პოეზიაში“. აუდიტორია აღტაცებული დარჩა რუსთაველით. ბევრმა ჩემმა მეგობარმა და სტუდენტმა დაიწყო თქვენი ქვეყნის ისტორიისა და ქართული ენის შესწავლა. მათ სურთ ორიგინალში წაიკითხონ პოემა.

● ვისი მოწვევით ჩამობრძანდით ამჯამად?

— საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოფიციალური მოწვევით. ათი დღეა, რაც აქა ვარ. დაუვიწყარი ათი დღე გავატარე თბილისელ მეგობრებთან და ახლა, როცა მივემგზავრები, იგივე გრძნობა მეუფლება, რაც ამ ორი წლის წინათ — კიდევ ჩამოვიდე რუსთაველის ქვეყანაში. ამიტომაც არ გემშვიდობებით.

მომავალ შეხვედრამდე!

„ოლე, ოლე, მარტოხეო“

ამას წინათ პოლონეთის ტელევიზიამ მოაწყო გადაცემა, რომელიც ქართულ პოეზიას მიეძღვნა. აი რასა წერს ამის თაობაზე პოლონეთის ყოველკვირეული ჟურნალი „ეპრანი“ (ამონაწერს გთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით):

„ოლე, ოლე, მარტოხეო“ — ასეთი სათაურით დაიწყო ტელევიზიამ მსოფლიო პოეზიისადმი მიძღვნილი გადაცემათა ახალი ციკლი. ეს პირველი გადაცემა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ანთოლოგიას მიეძღვნა.

დადგმა „ოლე, ოლე, მარტოხეო“ (რეჟისორი თადეუშ ვორნტკევიჩი) ძალზე საინტერესო გამოდგა. გადაცემამ გვაგრძნობინა ქართული პოეზიის სურნელება, ქართული ლირიკის ეშხი და სილამაზე, რომელიც შთაგონებულია საქართველოსა და მისი გაწამეორებელი ბუნების განსაკუთრებული სიყვარულით. ქართული საგმირო პოეზიაც ძალზე ახლობელი გამოდგა ჩვენთვის.

ქართული პოეზიის მომხიბვლელობა და განსაკუთრებული პოეტური სული საოცრად ერწყმის საქართველოს ბუნების სილამაზეს. დადგმა უხვად იყო გაფორმებული კავკასიონის პეიზაჟებით, თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრებითა და უძველესი დიდებული ქართული ფრესკებით. მუსიკალური თანხლება კარგად ეხამებოდა თანამედროვე ქართული პოეზიის ლირიკულობასა და მხატვრულობას. ეს იყო შესანიშნავი პროგრამა, რომელშიც დიდებულად და საუცხოოდ აჟღერდა გიორგი ლეონიძის ლირიკული პოემა „ოლე“.

ეკრანის ამბები

დედაქალაქის კინოდარბაზებში უჩვენებენ ახალ ქართულ ფილმს — „დიდედები და შვილიშვილები“. ეს სრულმეტრაჟიანი სურათი მწერალ მერაბ ელიოზიშვილის სცენარით შექმნა რეჟისორმა ნანა მჭედლიძემ, ოპერატორია არჩილ ფილიპაშვილი.

ფილმის მოქმედება სამამულო ომის დროს, საქართველოს ერთერთ სოფელში მიმდინარეობს.

მთავარ როლებს ასრულებენ მოსწავლეები მიხეილ მესხი და გოგი მგელაძე. პირველი მათგანი ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელის ვაჟიშვილია. ბებიას როლს შექმნა ქეთევან ბოჭორიშვილმა. მწყემსი თიბო განასახიერა შალვა ხერხეულიძემ.

დიადი

1870
22 აპრილი



ქართველი ხალხის დიდი მეგობარი

ქართველი ხალხის, მისი პროგრესული ძალების ბრძოლისა და შემოქმედების მთელი ისტორია XIX საუკუნის ბოლო წლებიდან განუხრელად არის დაკავშირებული დიდი ლენინის სახელთან და მოღვაწეობასთან. მიუხედავად იმისა, რომ ლენინი არასოდეს ყოფილა საქართველოში, იგი შესანიშნავად იცნობდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველი საზოგადოების ბევრ გამოჩენილ მოღვაწესთან, ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევდა ცარიზმისა და კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ ამხედრებულ ძალებს.

რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში ლენინი აღფრთოვანებული იყო საქართველოს მშრომელთა წარმატებებით, იწონებდა მათ გაბედულ შეტევებს თვითმპყრობელობის ძალებზე, კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ქვეყნის თავისებურებათა გამო კავკასიაში შეიქმნენ ჩვენი პარტიის ერთ-ერთი „უკეთესად მებრძოლი ორგანიზაციები“, რომლებიც წარმატებით ხელმძღვანელობდნენ ხალხთა მასებს, რამაც განაპირობა რევოლუციის მძლავრი განვითარება და მას „სახალხო ხასიათი“ მისცა.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის მომზადების წლებში ლენინი იბრძოდა იმისათვის, რომ დაეცვა ქართველი ხალხი ანტანტისა და ამერიკის მილიტარისტული აგრესიისაგან, ეხმარებოდა საქართველოს მშრომელებს ბურჟუაზიული წყობილების დასამხობად.


საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვლადიმერ ილიას ძე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისადმი, თავისი ბრძნული რჩევა-დარიგებით წარმართავდა იატაკქვეშეთიდან გამოსულ საქართველოს კომუნისტების მთელ საქმიანობას. ლენინი ურჩევდა ახალი საქართველოს ხელმძღვანელებს შემოქმედებითად გამოეყენებინათ საბჭოთა რუსეთის დიდი და ძვირფასი გამოცდილება. „ბრძოლა კი არ უნდა გადაიღოთ ჩვენი ტაქტიკა, — წერდა იგი, არამედ დამოუკიდებლად გაიაზროთ მისი თავისებურებების მიზეზები, მისი პირობები და შედეგები... გამოიყენოთ 1917-1921 წლების არა ანბან სიტყვა, არამედ სული, აზრი, გაკვეთილები“. დიდი ბელადი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართველი ხალხის სუვერენული უფლებების დაცვას, მტკიცე ეროვნული მშვიდობისა და ეროვნული თანამეგობრობის შექმნას ამიერკავკასიაში. ლენინი მოითხოვდა უზრუნველეყოთ მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის აღდგენა და აღმავლობა, ურჩევდა დაუყოვნებლივ დაეწყოთ „ელექტრიფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის ცემად უკვე ფართოდ გაიშალა მუშაობა და სხვა.

ამ დიდი ამოცანების დასახვა და განხორციელება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ განვლილი წლების მანძილზე აღიზარდნენ მრავალრიცხოვანი ეროვნული კადრები, რომლებიც წარმატებით დაეუფლნენ მეცნიერების მწვერვალებს და თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ მის შემდგომ განვითარებაში.

შესანიშნავი წარმატებებით ეგებება ქართველი ხალხი სახელოვან იუბილეს, კანონიერი სიამაყის გრძნობით მიმოიხილავს იგი ლენინის გენიით გასხივოსნებულ განვლილ ბრძოლის გზას, გაბედულად მიდის წინ ახალი გამარჯვებებისაკენ.

ნიკოლოზ მახარაძე,
პროფესორი.

ლენინის ტომი



ბევრი წიგნი მაძლს ყმაწვილს
ნანახი,
ბევრჯერ მიგრძვნია აღფრთოვანება,
ზოგში მომწონდა იგავ-არაკი,
ზოგში — მარტოდენ ხატოვანება.
ბევრი მათგანი სულ არ გაჯრილა,
გაკჟვა საყვარელ ქალს თუ
მეგობარს,
ბევრი კი შერჩა ჩემს შავ
განძინებას,
ვით მტვერწაყრილი უიმედობა.
ბევრი გახუნდა გედის ტრიალში
და ნელ-ნელ მიდის შავ
სამარეშდის,
მაგრამ ეს ერთი ცისფერყდიანი
ჩემს მაგიდაზე დარჩა მარადის.
მან მოარჩინა ჩუში ჭუჭილი, —
ჩემს სიმღერებში გამოვლენილი,
მის ფურცლებიდან
შუბლშეჭმუხვნილი
მესაუბრება მამა ლენინი.
ის ლაქვარდივით ფურცლებაფლილი
ჩემი მზე გახდა, ჩემი მშვენება,
მან შემასწავლა მე კომკავშირით
განახლებული ქვეყნის შენება.
ასე გულდაგულ ვგრ
ვიბრძოლებდით,
რომ არ გვიძღოდეს მისი ცისკარი,
იგი წიგნია ჩვენი ცხოვრების,
ყოველდღიურად ვასაკითხავი.
ბევრი წიგნი გაძლს ყმაწვილს
ნანახი,
ბევრჯერ მიგრძვნია აღფრთოვანება,
ზოგს შემოაცდა ყდა და ვარაყი,
ძველი ვერ შერჩა ხატოვანება,
ზოგიც გახუნდა გედის ტრიალში
და ნელ-ნელ მიდის შავ
სამარეშდის,
მაგრამ ეს ერთი, ცისფერყდიანი,
ჩემს მაგიდაზე დარჩა მარადის.

ლადო ასათიანი

ქართულ ენაზე

მდიდარი და ძვირფასია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის იდეური მემკვიდრეობა, რომელსაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ეზიარა საქართველო. ლენინის შრომების ქართულ ენაზე თარგმნასა და გამოცემას თავისი სახელოვანი ისტორია აქვს.

1896-1899 წლებში საქართველოში ვრცელდება ლენინის ნაწარმოებები: „გიმნაზიის მეურნეობანი და გამასწორებელი გიმნაზიები“, „განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც მუშებს ფაბრიკებსა და ქარხნებში ახდევინებენ“, „ფრიდრიხ ენგელსი“, „ნაროდნიჯობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“, „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“, „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს“ და კიდევ სხვა მრავალი.

სტატიები ილინისა და ტულინის ფსევდონიმებით ქვეყნდებოდა. ამ პერიოდში საქართველოს პრესის ფურცლებზე ვხვდებით აგრეთვე რეცენზიებსა და ბიბლიოგრაფიული ხასიათის სტატიებს ლენინის ნაშრომებზე.

1899 წლის 25 ივლისს გაზეთ „ჯვალში“ დაიბეჭდა ლუზინის საკმაოდ ვრცელი რეცენზია ლენინის ფუნდამენტურ გამოკვლევაზე „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“.

მოგვიანებით მიხა ცხაკაია სწერდა ლენინს, თუ რა დიდი პოპულარობა მოიპოვეს ქართველ პროლეტარებსა და რევოლუციურ გლეხობას შორის თეორიულმა ნაშრომებმა „რა ვაკეთოთ?“ და „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“.

თვით ლენინიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მარქსისტული ლიტერატურის ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე თარგმნასა და გამოცემას.

ლენინის ინიციატივით 1904 წლის თებერვალში საზღვარგარეთ შეიქმნა „სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ქართულ და სომხურ ენებზე გამოცემის კომისია“, რომელსაც ჰყავდა თავისი ხელშემწყობი ქართული ჯგუფები პარიზში, მიუნხენში, ლაიფციგსა და ჟენევაში.

ჟენევის ქართულმა ჯგუფმა თარგმნა ლენინის სახელგანთქმული ნაშრომი „სოფლის ღარიბებს“, რომელიც შემდეგ თბილისში, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა სათაურით: „სოფლის გაჭირვებულ გლეხ-კაცობას“. ბროშურას დიდი წარმატება ხვდა წილად და ისე სწრაფად გავრცელდა, რომ მაღე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

მომდევნო თხუთმეტ წელიწადში ქართველმა პროლეტარიატმა და რევოლუციურმა გლეხობამ დედაენაზე წაიკითხა ლენინის მნიშვნელოვანი ნაშრომები: „რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები“. „დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ“, „დემოკრატიული რევოლუციის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“, „ახალგაზრდათა კავშირის ამოცანები“ და სხვა.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების გამოცემისა და გავრცელების საქმეს კვლავ სისტემატიზებული ხასიათი მიეცა.

1948 წელს დაიწყო და 1953 წელს დასრულდა ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის 35 ტომის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოშვება.

1959-1967 წლებში გამოვიდა ამავე გამოცემის 5 დამატებითი ტომი. სულ 1921-1968 წლებში ქართულად გამოიცა ლენინის თხზულებათა 56 ტომი 928 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ლენინის ნაშრომები ქართულ ენაზე გამოიცა 2.734 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით.

ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს ქართველ მშრომელთა მზარდ ინტერესებზე ლენინის იდეური მემკვიდრეობისადმი.

ვლადიმერ მერკვილაძე,
პროფესორი

ქვეყნის უმაღლესი ჯილდო

6 აპრილს შესრულდა 40 წელიწადი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის უმაღლესი ჯილდოს ლენინის ორდენის დაწესებიდან.

დიახ, ოთხი ათეული წლის მანძილზე ოქროს თავთავებითა და ლალისფერი ალმით შემკული ლენინის შთამაგონებელი პროფილი მკერდს უმშვენებს ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს, ამკობს მოწინავე რესპუბლიკების, ქალაქების, კოლექტივების დროშებს.

საბჭოთა საქართველოში ლენინის ორდენის პირველი კავალრები იყვნენ სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სახელგანთქმული მჭედელი დავით ჭიჭინაძე, ჭიათურის მანგანუმის მაღაროს მნგრეველი ვლადიმერ სამხარაძე და სხვები.

სულ საქართველოში სხვადასხვა დროს ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 8 ათასზე მეტი კაცი, საწარმო-დაწესებულებათა 12 კოლექტივი, მათ შორის რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი, თბილისის კინოსტუდია, ხრამჰესმშენის ტრესტი, წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა და სხვა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ლენინის ორდენით დაჯილდოდა ორჯერ — 1935 და 1965 წლებში.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ი უ ბ ი ლ ე

1970
22 აპრილი

შეხვედრები ლენინთან

მიხა ცხაკაია
(ნაწყვეტი)

ილიჩს მე პირველად შევხვდი რსდმპ III ყრილობის დროს. ეს იყო 1905 წლის აპრილ-მაისში. ყრილობის გახსნამდე ლენინი მელაპარაკებოდა ჩვენი მუშაობის პერსპექტივებზე. მთხოვდა უარი არ მეთქვა, თუ ორგანიზაციული კომისია წინადადებით მომმართავდა, რომ ყრილობა გამეხსნა. შედგენილ იქნა ყრილობის პრეზიდიუმი ილიჩის მეთაურობით. მანვე გააკეთა ყრილობაზე ძირითადი პოლიტიკური მოხსენება.

მე პირველად ვუსმენდი მას. თავისი მოხსენება მან სავსებით მარტივად დაიწყო. ის უხვად ასურათებდა თავის აზრებს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიის ფაქტებით და მეტადრე რუსეთის მუშების მიერ 1905 წლის რევოლუციის პირველ თვეებში წარმოებული ბრძოლის მაგალითებით. სიტყვის დასასრულს მთელი ყრილობა ფეხზე ამდგარი ღრმა მდუმარებით უსმენდა მას, რადგან რევოლუციის რკინისებური ლოგიკა ყველა დელეგატს იტაცებდა.

როცა ილიჩმა სიტყვა დაამთავრა, ოვაციას დასასრული არ უჩანდა. ჩვენს წინაშე დიდი რევოლუციონერი, თეორეტიკოსი და ტრიბუნი იდგა.

ყრილობის შემდგომ დღეებში შესაძლებლობა მქონდა უფრო ახლოს გავცნობოდი ილიჩს და განმეცადა ის გულისხმიერება და უაღრესი ყურადღება, რომლითაც იგი ეპყრობოდა გარშემო მყოფ ადამიანებს. არასოდეს არ დამავიწყდება, ლონდონიდან წასვლის წინ როგორ წაგვიყვანა ილიჩმა ზოოლოგიური ბაღის, ბრიტანეთის საისტორიო მუზეუმის დასათვალიერებლად. ასევე მოიქცა ის პარიზში, სადაც გვაჩვენა ეიფელის კოშკი, ფერწერის მსოფლიო მუზეუმი — ლუვრი და კომუნარების კედელი პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

ვიყავით ჩვენ კარლ მარქსის საფლავზეც ლონდონში. სასაფლაოს ჭიშკართან მაღალცილინდრიანი დირექტორი იდგა. სასაფლაო უზარმაზარ პარკს წარმოადგენდა ვიწრო ხეივნებით, უამრავი კაპიტალური, ძვირადღირებული მონუმენტებით; ვიღაც ლორდის თუ ლედის საყვარელი ძაღლის ქანდაკებასაც კი ნახავდით. მაგრამ შეუძლებელი იყო გეპოვნა XIX საუკუნის დიდი მოაზროვნის, მეცნიერული კომუნიზმის შემქმნელისა და I ინტერნაციონალის დამაარსებლის საფლავი, რომ არ დაგვხმარებოდნენ სასაფლაოზე მომუშავე კალატოზები, რომლებიც, როცა დარწმუნდნენ, რომ ჩვენ რუსეთიდან ვიყავით, მაშინვე მიხვდნენ, რომ უეჭველად კარლ მარქსის საფლავს ვეძებდით, და გვიჩვენეს იგი. ჩვენ დიდხანს ვიდექით საფლავთან, შემდეგ დავსხედით და წასვლას არ ვჩქარობდით. ილიჩმა ირონიულად გაიხსენა დირექტორი, რომელიც ალბათ, დელავს, რომ ჩვენ აქ ასე დიდხანს ვართ ვიღაც მისთვის უცნობი კაცის საფლავთან.

— საცოდავი ბურჟუა ვერ ხვდება, რომ ყოველივე უხრწნელი, ყოველივე უკვდავი, რაც მარქსსა და ენგელსში იყო, ჩვენ, ყველა ქვეყნის ბურჟუების თავზარდასაცემად თან დაგვაქვს და ყოველივე ამას ჩამორჩენილ მეფის რუსეთშიც კი ვახორციელებთო.

ყრილობის დამთავრების შემდეგ ჩვენ ლონდონიდან პარიზზე გავლით ჟენევაში ვბრუნდებოდით — ვლადიმერ ილიას ძე, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და მე. საფრანგეთის საზღვარზე, ბულონში, ჩვენ მაშინდელი დროისათვის ჩვეულებრივი ეპიზოდი შეგვემთხვა. საფრანგეთის პოლიციამ, მეფის აგენტების თხოვნით, გადაწყვიტა ვითომდა შეემოწმებინა, ხომ არ არის ჩვენს ჩემოდნებში (სადაც III ყრილობის ოქმები იყო) კონტრაბანდული თამბაქო. ნავარაუდევი „კონტრაბანდის" გასინჯვა რუსი პროვოკატორის დასწრებით ხდებოდა. საქმეს უშველა ილიჩის სიმტკიცემ; მან ნება არ დართო გაეხსნათ ოქმების დასტა და კატეგორიულად განაცხადა:

— არავითარი თამბაქო იქ არ არის, ჩვენ თამბაქოს არ ვეწევით და არც კომერსანტები ვართ. აქ მხოლოდ ხელნაწერი, მანუსკრიპტიაო. და ისინი, პირში ჩალაგამოვლებულნი, ჩამოგვეხსნენ.

მოგონებები ლენინზე


პროლეტარიატის დიდ ბელადს თავიდანვე ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებთან, ცალკეულ ხელმძღვანელ მუშაკებთან, აძლევდა მათ რჩევა-დარიგებებს, მითითებებს.

ბევრი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი და მუშა პირადად შეხვედრია ლენინს, უსაუბრია მასთან, უმუშავია მისი უშუალო ხელმძღვანელობით.

ამ დღეებში ქართველმა მკითხველმა მიიღო ამ ადამიანთა მოგონებები ბელადის შესახებ, გამოცემული ერთ მთლიან კრებულად. მასში სულ შეტანილია 37 მოგონება.

კრებულის რედაქტორია პროფესორი ვლადიმერ მერკვილაძე.

„სამშობლოს" მკითხველს ვთავაზობთ კრებულში გამოქვეყნებულ ზოგიერთ მოგონებას.



დამახასიათებელი ღიმილი

გერონტი ქიქოძე

ერთხელ საღამოს პაოლო იაშვილმა და მე ჩვენს ნაცნობ ქართველ ემიგრანტთან შევიარეთ სასტუმროში. იქ მიხეილ დავითაშვილი დაგვხვდა; პარიზში იგი რომელიღაც ქარხანაში მუშაობდა უბრალო მუშად. მან გვითხრა, ხვალ რუსი სტუდენტების მოწვევით ლენინი მოხსენებას კითხულობს ეროვნულ საკითხზე და ერთად დავესწროთო.

მანამდე ლენინი არ მენახა. ის რატომღაც მაღალ, გამხდარ, ლამაზ, გრუზათმიან მამაკაცად მყავდა წარმოდგენილი; სახტად დავრჩი, როდესაც დარბაზში დაბალი, ჯმუხი, მელოტი კაცი შემოვიდა. მას ტუჩებზე ხანდახან ძალიან დამახასიათებელი ღიმილი უკრთოდა, თითქოს ისეთი რაღაც იცოდა, რაც სხვებისათვის მუდამ საიდუმლოებად რჩებოდა. ლენინმა თავის მოხსენებაში ენერგიულად გააკრიტიკა კულტურული ავტონომიის იდეა და განაცხადა, ჩვენთვის პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი ერები არ არსებობენ, ყოველ ჩაგრულ ერს თვითგამორკვევის უფლება უნდა მიეცეს და ეს უფლება მის სრულ დამოუკიდებლობასაც გულისხმობსო, თუმცა ჩვენც დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის მომავალი რევოლუცია იმდენს მისცემს ჩაგრულ ერებს, რომ ისინი არ ისურვებენ რუსეთისაგან ჩამოშორებასო.

ქართველი დამსწრეების ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ლენინი დიდხანს შეჩერდა გურიის გლეხკაცობის როლზე 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში. მან თქვა, — გურულებმა დიდი შეგნება და ორგანიზაციული ნიჭი გამოამჟღავნეს 1905 წელს, თავის რესპუბლიკაში მოსპეს ყოველი ძალმომრეობა და დანაშაული და თვალნათლივ დაამტკიცეს, რომ რუსეთის მეფის პოლიციას მხოლოდ დეზორგანიზაცია შეაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიო. საზოგადოდ კი უნდა ითქვასო, რომ რუსი ნაციონალისტები ამაოდ ფიქრობენ, თითქოს სიმბირსკელი ან ტამბოველი გლეხი უფრო მაღლა დგას ქართველ, ლატვიელ ან ესტონელ გლეხზეო...

წარსულიდან

მელიტონ ფილია
(ნაწყვეტი)

მე მქონდა ბედნიერება მომესმინა ის კერძო საუბარშიც...

ვეცდები მკრთალად მაინც აღვადგინო ეს სურათი.

მოხსენების შემდეგ სახლში ერთად წავედით: ლენინი, მიხა ცხაკაია, ოლღა რავიჩი და მე. ლენინს ღამე უნდა გაეთია კუკლინის ბიბლიოთეკაში, — სადაც ცხოვრობდნენ რავიჩი და კარპინსკი. როცა ბიბლიოთეკასთან მივედით, ამხანაგმა ოლღამ ლენინს ბინის გასაღები გადასცა და ჩვენ სამნი წავედით გასასეირნებლად ხეინარე არვეს ნაპირად.

მიხა ეკითხებოდა ლენინს ძველი ბოლშევიკების შესახებ. ჰკითხა სხვათა შორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბოგდანოვის შესახებ. ლენინი უპასუხებს, რომ მან გაიგო თითქოს ბოგდანოვი, როგორც ექიმი, გაწვეული იყო ომში და ერთ-ერთი შეტაკების დროს გერმანელ ჯარისკაცთან მან იხსნა დაღუპვისაგან რუსების მთელი რაზმი, რისთვისაც სურდათ ის დაეჯილდოვებინათ გიორგის ჯვრით, მაგრამ ბოგდანოვმა ეს უარყო.

მე ვკითხე პლეხანოვის შესახებ, — შეიძლება თუ არა პლეხანოვის ისევ ჩვენთან დაბრუნება? ლენინმა მომიგო, რომ პლეხანოვი პოლიტიკურად მკვდარი ადამიანია, ის არასოდეს არ გამოსწორდება, ის საბოლოოდ მკვდარია ჩვენთვის. მე კიდევ ვკითხე ზოგიერთი ძველი ბოლშევიკის — ნიკიტიჩის (კრასინის), ლიადოვის და სხვების შესახებ, სად იმყოფებიან ისინი და რას აკეთებენ. ლენინმა მომიგო: თქვენ კიდევ ახალგაზრდა ხართ, თქვენ კიდევ არ იცით, თუ როგორ ხდება ხოლმე ჩვენში. ჩვენში კი ხშირად ხდება შემდეგი: რომელიმე ამხანაგს პარტიაში მუშაობის დროს პირადი საქმეები აეწეწება, ის შორდება პარტიას, დროებით თავს ანებებს აქტიურ მუშაობას იმისათვის, რომ წესრიგში მოიყვანოს არეული საქმეები და როცა გამოასწორებს, ისევ ბრუნდება ჩვენთან; ეს ხშირი მოვლენაა და ის ბოლშევიკები, რომლებიც ჩვენგან წავიდნენ პირადი საქმეების გამოსასწორებლად, მოვლენ ჩვენთან ან ახლო მომავალში ან რევოლუციონური მოძრაობის დაწყებისას.

— რამდენი წლისა ხართ თქვენ, ვლადიმერ ილიჩ?! — მოულოდნელად ეკითხება მიხა.

— მოხუცი ვარ, მოხუცი, ამხანაგო მიხა, მე უკვე 44 წლისა ვარ.

ლენინი წუხდა, რომ რუსეთიდან არავითარი ცნობა არ იყო. ამბობდა, რომ ბევრი დავალებანი მიანდო ამხანაგ სამოილოვს, მაგრამ არ იცის შედეგი, არ არის არავითარი ცნობა რუსეთიდან.

რამდენიმე ამხანაგი გავგზავნეთ ამას წინათ რუსეთში, ამბობდა ლენინი, მაგრამ მათგან არაფერი არ ისმის, უეჭველია, ყველანი დაიჭირეს. კარგი იქნებოდა, რომ კიდევ გაგვეგზავნა ვინმე.

თქვა ეს და შემომხედა მე. მე უკვე მივხვდი, რომ მას სახეში ვყავდი. მე ვდუმდი. არაფერს ვამბობდი.

ლენინი შემეკითხა:

— როგორია თქვენი იურიდიული მდგომარეობა, ამხანაგო ჟორჟ?

— კატორღა მომისაჯეს.

— არა, თქვენი გაგზავნა არ შეიძლება.

ასე უფრთხილდებოდა ლენინი თითოეულ ჩვენგანს.

ლ ე ნ ი ნ ი ც ი უ რ ი ხ შ ი

სანდრო შანშიაშვილი

ექვსი თვის ჩასული ვიყავი შვეიცარიის ქალაქ ციურიხში 1910 წელს. ვცხოვრობდი ემიგრანტ სოლომონ დოლიძესთან.

დოლიძე 1906 წელს რკინიგზებზე გაფიცვებს მეთაურობდა. შვეიცარიაში იწერებოდა ბენდიანიძედ: ითვლებოდა იქაურ მოქალაქედ და მუშაობდა ავტომობილის ქარხანაში.

ჩვენთან ხშირად დაიარებოდა თედო კალანდაძე.

ყოველ საღამოს გვქონდა სჯა-ბაასი.

ჩვენთან ერთად იყო აგრეთვე ერთი სტუდენტი, რუსეთიდან გამოძევებული, დევნილი ებრაელი შულგინი — პოეტი და ლიტერატორი.

ერთს საღამოს გაცხარებული ლაპარაკი გვქონდა.

მე და შულგინი ვეკამათებოდით სოლომონ დოლიძეს. ის ჩვენ, როგორც იდეალისტებს, გვამარცხებდა და ბრაზი მოგვდიოდა.

ერთხელ ასეთი კამათის დროს შემოვიდა თედო კალანდაძე და გვითხრა: იცით, ციურიხში ლენინი ჩამოსულა და ხვალ საჯარო მოხსენებას გააკეთებსო.

მე ყველაზე ძალიან დავინტერესდი. შევეხვეწე თედოს: თუ ძმა ხარ მოხსენებაზე წამიყვა-მეთქი!

თედო ჯერ გამეხუმრა: პოეტებს რა ხელი გაქვთ პოლიტიკასთან, მაგრამ შემდეგ დამპირდა, ბილეთს გიშოვი, შემოგივლი და ერთად წავიდეთო.

მოხსენება დანიშნული იყოს საღამოს შვიდს საათზე.

მეორე დღეს ჩვენ ოთხივენი ხუთს საათზე დანიშნულ ადგილს მივედით.

ჩვენ გვეგონა ყველაზე ადრე მისულები ვიქნებოდით. მაგრამ სულ წინაალმდეგი აღმოჩნდა.

ემიგრანტების დარბაზი ხალხით უკვე გაჭედილი იყო.

შევედით.

ჯგუფ-ჯგუფად ლაპარაკობდნენ.

სოლომონ დოლიძემ შორიდან დამანახვა სხვადასხვა პარტიის მოღვაწენი. ყველანი ციურიხს თავს აფარებდნენ.

აქ იყვნენ: მარტოვი, მარტინოვი, ესერები, ბუნდისტები, ობნოვლენცები და სხვები.

ვკითხე: ლენინი რომელია მეთქი? ლენინი ჯერ არ მოსულიყო.

ყველაზე ძალიან ლენინის დანახვა მაინტერესებდა, რადგან ჯერ ისევ თბილისში ყოფნის დროს მ. დარჩიაშვილის ოჯახში, სადაც მე ვიზრდებოდი და სადაც ხშირად დაიარებოდნენ: ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე და სხვა რევოლუციონერები, ხშირად მესმოდა ლენინის სახელი, როგორც ბოლშევიკების ბელადის, და მე მყავდა ის წარმოდგენილი უზარმაზარ კაცად.

კიბის ამოსავალში გაისმა ტაშის გრიალი.

მე, როგორც პროვინციელმა, ხალხს ხელი მივკარმოვკარი, მინდოდა მალე დამენახა ლენინი.

არ დავინდე მანდილოსნებიც კი და მომაძახეს: დაიცავით წესრიგი!

დავინახე: კიბეზე მოდიოდა უბრალოდ და სადად ჩაცმული კაცი.

ეს იყო ლენინი.

ტაშს უკრავდნენ, ყვავილებს ესროდნენ. მისი ნაცნობები სალამს აძლევდნენ. მე წარმომედგინა ლენინი მაღალ-მაღალ, ახოვან ადამიანად, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. ის იყო შუა ტანის კაცი ოდნავ წითური, გამხდარი და დანაოჭებული სახით, ჩაცვივნული თვალებით და მთლად შუბლად ქცეული, ჭაღარაშერეული.

მარტოვი და მარტინოვი მიესალმნენ.

სცენაზე მიიწვიეს. ერთი სათვალეებიანი, ჯმუხი ტანის კაცი, — მე გვარი აღარ მახსოვს, — თავმჯდომარედ აირჩიეს. თავმჯდომარე მცირე სიტყვით მიესალმა ლენინს და თავისი ადგილი დაუთმო.

ლენინმა დაიწყო ლაპარაკი.

ჯერ ილაპარაკა საერთო პოლიტიკაზე, შემდეგ გადავიდა რუსეთზე, შეეხო სახელმწიფო სათათბიროს, დაგმო იგი. შეეხო კლასთა ბრძოლას, ხანგრძლივად ილაპარაკა ეროვნულ საკითხებზე და სხვ.

პირველად ლაპარაკობდა მძიმედ და დამშვიდებით, შემდეგ, თითქოს ვინმეს მოწინააღმდეგეს ეკამათებაო, მისი ტონი მაღლდებოდა და ცეცხლი ედებოდა.

ყველანი სულგანაბული ისხდნენ და ყურს უგდებდნენ. ყველა დაიპყრო. ის, საშუალო გამხდარი კაცი ჩემ თვალწინ გაიზარდა და რაღაც ბუმბერაზად მეჩვენებოდა.

მას შემდეგ განვლო თოთხმეტმა წელმა. და ის კაცი. რომელსაც მე ციურიხში შევხვდი მოხსენებაზე შემთხვევით და რომლის სიდიდეს ნათლად ვერ ვგრძნობდი, გადაიქცა საერთაშორისო რევოლუციის ბელადად

მან დაჩრდილა წარსულის ყველა გმირების დიდი სახელები.

დამსხვრეული ილუზიები

„ჩვენთვის ძვირფასნი არიან მშობლები, ძვირფასნი არიან ბავშვები, მასწორებლები, ნათესავები, მაგრამ ყველა წარმოდგენა რაიმესადმი სიყვარულის შესახებ შეერთებულია ერთ სიტყვაში — „სამშობლო“. ციცერონის ეს სიტყვები ყველა ერის შვილისათვის გასაგები და ახლობელია, მაგრამ მათი გულთან მიტანა ქართველ კაცზე ძალუმად ბევრს როდი შეუძლია. მშობლიური მიწა-წყლის უზომო სიყვარული, იმ თავიდან ასე რომ გვდევდა, სხვა მხარეში ერთი დღითაც წასულს გულს სევდით გვივსებდა, სამშობლოს სამუდამოდ მოშორება კი დაღუპვას გვიქადდა. როგორ არ გვიჭირდა, მაგრამ ყველა ღონეს ვხმარობდით კერა არ ჩაგვექრო, ჩვენს მიწაზე დავრჩენილიყავით, ავად თუ კარგად აქ გვეცხოვრა. სამშობლოს სიყვარულმა ყველა გაჭირვება გადაგვატანინა და დღემდე მოგვიყვანა ასე ძლიერნი, ასე ამაყნი, ასე თავისუფალნი.

თუმცა ამ ბედნიერების დასამკვიდრებლად ცოტა მსხვერპლის გაღება როდი დაგვჭირდა. ვიდრე ქართველი ხალხი საბოლოოდ გადაწყვეტდა თავის მომავალს, ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა. ესა თუ ის პარტია, ჯგუფი თუ ცალკეული ადამიანი, ან აშკარად გამოდიოდნენ სამშობლოს არჩევანის წინააღმდეგ, ან ყოყმანობდნენ.

ახლა გზაზე დადგომა, ახალი ქვეყნის მშენებლობა კი შეუპოვარ ბრძოლას მოითხოვდა. რა თქმა უნდა, ბრძოლის სიცხარეში ყველაფერის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო. ზოგიერთს გზა-კვალი აებნა და სამშობლოს ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა.

გავიდა წლები. უცხოეთში წასულთა ერთი ნაწილი უკანვე დაბრუნდა, ნაწილი კი სამუდამოდ იქ დარჩა, ბევრი მათგანის ცხედარიც უცხო მიწამ მიიბარა...

ისინი, ვინც ცოცხლები დარჩნენ, მრავალ ჭირ-ვარამს გამოვლილნი, წელთა სიმრავლით დამძიმებულნი, მემუარებისა და მოგონებათა წერით იოხებენ გულს. ეს, ბუნებრივია, მათი პირადი საქმეა და სადაოც არაფერი გვაქვს. მაგრამ, თუ ამ მოგონებებში ყალბი ტონი იპარება და, რაც ყველაზე საწყენია, ჩირქი ეცხება ჩვენთვის ყველაზე სანუკვარს, წმინდათა-წმინდას — სამშობლოს, ერს, რა თქმა უნდა, გულგრილნი ვერ დავრჩებით და შევეცდებით ყველა საგანს თავისი ადგილი მივუჩინოთ.

ახლახან პარიზში გამოიცა ქალბატონ თამარ პაპავას პატარა წიგნი „გაბნეული საფლავები“. როგორც ავტორი აღნიშნავს, იგი დიდი ყოყმანის შემდეგ შეუდგა ძველი მემუარების გადათეთრებას. „ვყოყმანობდი იმიტომ, რომ ეჭვი მღრღნიდა: ვის რად სჭირია, ან დასჭირდება ეს ჩემი მოგონებები?... მაგრამ ზოგიერთმა „გარემოებამ“ ეს ეჭვი გადამალახვინა და ჩემს ფერგადასულ რვეულებს, ამდენი წლები რომ საყვედურით მიცქერდა, გულით მივუჯექი“. და აი ქალბატონი თამარი ცდილობს გულწრფელად დაიტიროს ნოე ჟორდანიას, ვლადიმერ ახმეტელის, გრიგოლ რობაქიძის, კიტა ჩხენკელის, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და სხვათა საფლავები. ცდილობს, მაგრამ ამ დატირებას ბევრი ისეთი მინარევი ახლავს, ქართველ ქალს რომ არ ეპატიება. ჩვენ გვესმის ქალბატონი თამარისა, სამშობლოდან ხუთი ათეული წლის წინათ გადახვეწილმა მრავალი სულიერი თუ ფიზიკური ტრავმა გადაიტანა: დაკარგა ადამიანები, რომლებთანაც მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებდა, საბოლოოდ დაიმსხვრა ილუზიები, ქართველ ემიგრანტებს წლების მანძილზე რომ ასაზრდოებდა, და, ბოლოს, არც ისე დიდი ხნის წინათ გარდაცვალა მეუღლე — აკაკი პაპავა. რა გასაკვირია, ყოველივე ამის შემდეგ სცადო, წიგნის ფურცლებზე გააცოცხლო შენთვის ესოდენ საყვარელი ადამიანები. ან ვის რა უფლება აქვს ასეთი ცდა აუგად მოიხსენიოს? მაგრამ ქალბატონო თამარ, ქართველი ქალი შვილის ცხედართან მდგომიც კი არ კარგავს რეალობის გრძნობას, თავის უბედურებას, მხოლოდ იმისთვის, რომ გული მოიოხოს, არავის გადააბრალებს. თქვენ კი, გვაპატიეთ გამოთქმისათვის, მაგრამ, ასე ვთქვათ, ძველი ჰანგებით ცდილობთ გაბნეულ საფლავთა დატირებას. ვერ ხედავთ დღევანდელი საქართველოს ბედნიერებას, მის წარმატებებს. ან როგორ დაინახავთ, როდესაც აქეთ გამოხედვაც კი არა გსურთ. ეს ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, ქართველი ხალხის უპატივცემლობაა, ხალხისა, რომელიც თქვენთვე ერის ისტორიას ქმნის.

შეიძლება შეგვედავოთ: სამშობლო, ერი ჩემთვისაც წმინდათა წმინდაა, სწორედ მისი სიყვარული მალაპარაკებსო.

მაგრამ თუ ასეა, რატომ გავიწყდებათ, ქალბატონო თამარ, რომ ქართველი ხალხის სამშობლო სწორედ დღევანდელი, საბჭოთა საქართველოა, ხოლო მისი ერი — ამ საქართველოში მცხოვრები დღევანდელი ქართველობაა, რომელიც თავის ბედნიერებას სამშობლოს სამსახურში ხედავს.

როგორც ერთის, ისე მეორის უპატივცემლობა, აუგად ხსენება, ქალბატონო თამარ, რა „კეთილი“ მიზნებიც უნდა გამოძრავებდეთ, ვერავითარ პატრიოტულ გრძნობას ვერ უთავსდება.

ამ წიგნში გაუგებარი, მიუღებელი და, თუ გნებავთ შეუწყნარებელიც, ძალზე ბევრია. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთს.

სიტყვა „მეწშევიკი“, წერთ თქვენ ნოე ჟორდანიაზე ლაპარაკის დროს, უცნაურ ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოსო, ეს სიტყვა ჟორდანიას სახელისათვის ყოვლად მიუღებელიაო.

არა, ქალბატონო თამარ! ჟორდანია, ისე როგორც კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი და ბევრი სხვა, ამაყობდა, რომ რუსული მენშევიზმის ავანგარდში იდგა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე ისინი მხარს არ უჭერდნენ ქართველ ნაციონალისტებს, ებრძოდნენ მათ. და თუ 26 მაისის შემდეგ 180 ვრადუსით შემობრუნდნენ, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ საკუთარი პარტიული დოგმებით ქართველი ხალხის ეროვნულ გრძნობებზე ეთამაშნათ. მათ არასოდეს ჰქონიათ მხედველობაში ეროვნული სახელმწიფოს შექმნა. განა ყველასათვის ცნობილი არ არის, რომ მენშევიკები მხარს არ უჭერდნენ არათუ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, არამედ ბოლშევიკების მიერ წამოყენებულ ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპსაც კი და კულტურული ავტონომიით კმაყოფილდებოდნენ? განა ცნობილი არ არის, როგორ განუწყვეტლივ ებრძოდა ჟორდანია დიდ ილიას? ხოლო ირაკლი წერეთლის ნიჰილისტურმა სტატიებმა, რომლებიც 1903 წელს გამოქვეყნდა „კვალში“, როგორი საყოველთაო გულისწყრომა გამოიწვია ყველა პატიოსან ქართველში?

იმავე ირაკლი წერეთელმა მენშევიკური პარტიის მერვე ყრილობაზე გარკვევით განაცხადა — დამოუკიდებელი საქართველო ჩვენი მიზანი არ არისო. ასე რომ, ირაკლი წერეთელი არასოდეს ყოფილა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის „ვეფხვივით მებრძოლი“, როგორც თქვენ ამას თქვენს წიგნში გვისახავთ.

ქალბატონო თამარ, თქვენ განსაკუთრებული ცხარე ცრემლით დასტირით გრიგოლ რობაქიძის საფლავს. გვინდა შეგახსენოთ: ვიდრე საბედისწერო ნაბიჯს გადადგამდა, გრიგოლ რობაქიძეს არც ზრუნვა აკლდა და არც თავისი ხალხის თაყვანისცემა. თქვენ გინდათ მისი ყველა ნაწერი ახლავე ეფინებოდეს საქართველოს, მაგრამ რა ვუყოთ იმ წიგნებს, რომლებშიც, თქვენგან ასე ცხარედ დატირებული ავტორი, ფაშისტებსა და მათ თავკაცებს რომ ასხამს ხოტბას? ცხოვრება ძალზე რთულია, ქალბატონო თამარ, ძნელია კაცმა ასე ხელაღებით დაივიწყოს დანაშაული, თუნდ მისი ჩამდენი დიდი ნიჭის პატრონიც იყოს.

სასიამოვნოა, რომ თქვენი აზრები კიტა ჩხენკელის მოღვაწეობის შესახებ ემთხვევა ჩვენს შეხედულებას. ქართველი საზოგადოებრიობა, მეცნიერები დიდად აფასებენ მის ღვაწლს და მის მიერ ქართული ენის სადიდებლად გაღებულ მსხვერპლს. ამის თაობაზე ქართულ საბჭოთა პრესაში ბევრი სტატია გამოქვეყნებულა.

ობიექტურად არის დაწერილი „ფიქრები წამებულ დედაფალ ქეთევანზე“. აქ კმაყოფილებით იხსენიებთ ჩვენი ერის ცნობილ მოღვაწეებს ქეთევან ირემაძეს, გიორგი ლეონიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, ლევან გოთუას, გრიგოლ აბაშიძეს, მიხეილ კვეკლიძეს, ვიქტორ გაბესკირიას, აკაკი გაწერელიასა და სხვებს. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ამ სიტყვებიდან რამდენიმე გვერდის შემდეგ, თქვენსავე წიგნში, ადგილს უთმობთ და უფლებას აძლევთ ვიღაც დ. ვაშაძეს, უშვერი სიტყვებით ლანძღოს ჩვენი სამშობლო, რომელსაც, თურმე, „ტურა და მგელი“ დაპატრონებია“, შეურაცხყოფა მიაყენოს თქვენს მიერ უკვე ქებით მოხსენებულ ქართველ მწერლებსა და პოეტებს: „ისინი სიმართლის თქმას ვერ ბედავენ... მათ ოხვრას ხაზღვარი არა აქვს და ცხარე ცრემლებს ჩუმად, შეუმჩნევლად ღვრიან, მათგან მოითხოვენ წინაპრების დაგმობას, და ისინიც ქედს უხრიან ფარული წყევლით, ცრემლთა ნაკადულში ქართლის ბედი რომ არ ასვენებთ... ძალდატანებით ათქმევინებენ მწერალ-პოეტებს ისეთ რამეს, რასაც ისინი თავისუფლების პირობებში არასოდეს არ იტყოდნენ“ (გვ. 102-105) და სხვა.

სადაური ლოგიკაა, ქალბატონო თამარ? თუ მართლა ასეა, როგორღა ახერხებენ ეს „დაბეჩავებული“, „უპრინციპო“ ადამიანები, თქვენივე სიტყვებით რომ თქვათ, „ისეთი შესანიშნავი ნაწარმოებების შექმნას, როგორიც არის კონსტანტინე გამსახურდიას „დიდი ოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“; ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“, გ. აბაშიძის „დიდი ღამე“, მიხ. კვეკლიძის „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელნი“ და სხვანიც, დიდი ნიჭითა და ცოდნით რომ აშუქებენ ჩვენ საამაყო წარსულსა და „ქართლის ცხოვრების“ მესაჭეთა გმირულ თავდადებას“ (გვ. 75).

და კიდევ ერთი. განა შეიძლება პატრიოტმა ქართველმა ქალმა გულწრფელად დაიტიროს ისეთი ადამიანი, როგორიც მეფის არმიის პოლკოვნიკი, თავადი ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო? თავისი მოთარეშე რაზმით ამ „ცნიაზმა“ (როგორც თქვენ მას უწოდებთ), ბევრი ზიანი მიაყენა საქართველოს, ბევრი პატიოსანი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. და ახლა, ძმათა სისხლში ხელგასვრილ კაცს, ერის ერთგულ შვილად გვიხატავთ.

ქალბატონო თამარ, წერილის დასასრულ თქვენივე სიტყვით მინდა შეგახსენოთ, ჩემი მიზანი ქართველი ხალხის სამსახურიაო. და თუ ეს ასეა, მაშინ მოიკრიფეთ გამბედაობა და პირდაპირ შეხედეთ სინამდვილეს თვალში. თუ თქვენი სამშობლო ნამდვილად გიყვართ, გამოეშურეთ სამშობლოში, აქ საქართველოში ემსახურეთ მშობლიურ ხალხს. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ — სამშობლოსაკენ მომავალი გზა ყველასათვის ხსნილია.

გიგლა ჯანგველაძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

სიბრძნისა და სიკეთის წყარო

ათასფრად მოიხატა წიგნის მაღაზიების ვიტრინები და თაროები, ქუჩებში სპეციალურად მოწყობილი დახლები აივსო ყდამოხატული წიგნებით, რომლებმაც ბევრი ნორჩი მკითხველი მიიზიდა და სიხარულით აუცმაცმა თვალები.

მაქსიმ გორკი წერდა: ბავშვებისათვის საჭიროა ვწეროთ ისევე კარგად, როგორც დიდებისათვის და კიდევ უფრო უკეთო.

ასე „უკეთ“ დაწერილი წიგნი ბევრი იბეჭდება ჩვენში. პატარა მკითხველები სიხარულით ხვდებიან მათ. რაც უნდა დიდი ტირაჟით გამოიცეს საყვარელი პოეტისა თუ მწერლის წიგნი, ორ-სამ დღეში მთლიანად იყიდება. უყვართ ნორჩებს წიგნი, დიდი მეგობარი, ერთგული მრჩეველი. წელიწადის მანძილზე თვალყურს ადევნებენ და ახალ ლიტერატურას გალისთანავე იძენენ.

და მაინც, განსაკუთრებით მოგაზაფხულს, როცა ჩვენს რესპუბლიში ტრადიციულად იმართება ბავწიგნის კვირეული. ამ დღეებში სასიქადულო მწერლები და პოქუჩებსა თუ მოედნებზე გამოტდახლებთან ხვდებიან ნორჩებს, უვენ ლიტერატურას, ავტოგრაფსთავაზობენ პატარა მკითხველებტორთან შეხვედრა ყველა ბავშვის ნება და სიხარულია.

წიგნის კვირეულის დღეს განთრებული ხალხმრავლობაა რუსთლის გამზირზე, პიონერთა და მოვლეთა სასახლის წინ. ათასობით რჩი არჩევს, იძენს ახალ წიგნს, ნისა და სიხარულის, სიბრძნისა სიკეთის წყაროს.

საიუბილეო დღეებში

15-აპრილს მოსკოვში გაიხსნება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის საერთაშორისო გამოფენა. საქართველო წიგნის დიდ ზეიმზე წარდგება 200-მდე მხატვრული, პოლიტიკური, ტექნიკური გამოცემით — სახელმძღვანელოებით, სპეციალური სასტენდო ბუკლეტებით, რომლებიც ასახავენ რესპუბლიკის ცალკეულ გამომცემლობათა მოღვაწეობას ლენინის საიუბილეო დღეებში.

გამოფენის დღეებში გაიმართ წიგნის მხატვრული და პოლიგრაფილი გაფორმების საკავშირო და თაშორისო კონკურსები.

საქართველოს პავილიონში, ძირითადი ექსპონატებისა, ორ რიან სტენდზე გამოფენენ უკანასორ წელიწადში ჩვენს რესპუბლგამოცემულ საუკეთესო წიგნებს.

პავილიონს დაამშვენებს თბილდიდი ფერადი პანორამა, რომთავზე ჭედური ფრიზები გასდევ

მეორე სამშობლოში

შრომის წითელი დროშის ორდენოსანია თბილისის მე-62 საშ პროფტექნიკური სასწავლებელი. აქ ბევრი სახელოვანი ადამიანი, ნოვატორი, შრომის გმირი აღზრდილა. ახალგაზრდები ეუფლებიან ელექტრო და გაზშემდუღებლის, მღარავისა და მხეხავის სპეციალობებს.

აქ ეზიარნენ სასურველ პროფესიებს გერმანელი და არაბი ახალგაზრდები. ისინი დღეს დიდი მადლიერებით იხსენებენ თბილისელ ღებს.

შარშან ზაფხულს სასწავლებელში 80-მდე ვიეტნამელი გოგონა და ჭაბუკი ჩამოვიდა.

უცხოელი ახალგაზრდების სტუმრობა აქ ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ გმირი ვიეტნამელი ხალხის წარმომადგენლებს სულ სხვა შეხვედრა მოუწყეს.

პირველ დღეებშივე დამყარდა მეგობრული ურთიერთობა ქართველ და ვიეტნამელ ახალგაზრდებს შორის.

ჩამოსულებმა ჯერ სურამის გამჯანსაღებელ ბანაკში გაიკაჟეს ორგანიზმი. თანდათანობით შეეჩვივნენ საქართველოს მიწას, ალერსიანსა და გულუხვს.

სამშობლოში წერილები გაგზავნეს: „საქართველო ზღაპრული ქვეყანაა“, „ქართველები ჩვენი ძმები არიან, გვიხარია, რომ ასეთ შესანიშნავ ხალხთან ვმეგობრობთ“.

1 სექტემბერს ქართველებთან ერთად სასწავლო მერხებს ვიეტნამელი მოსწავლეებიც მიუსხდნენ.

როდესაც საუბარი ვიეტნამელ ახალგაზრდებზე ჩამოვარდება, პედაგოგები მიხეილ თავბერიძე და ნინო ხუციშვილი, იზა არჩვაძე და სერგო მეგრელიშვილი სიამოვნებას ვერ მალავენ, კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ვიეტნამელი ახალგაზრდები არიან:

თავაზიანნი და გულისხმიერნი.

სამშობლოს მოყვარულნი და მასპინძელთა მადლიერნი.

ცოდნის მაძიებელნი და სწავლას დაწაფებულნი.

— პროფესია?

— ჯერ შევისწავლით ქართულ და რუსულ ენებს, შემდეგ პროფესიებს. ვიქნებით მღარავები და მხეხავები — ამბობენ ნგუენ თი და ელენ ტიენ დატი, ლე თხი თუ და ზიონ ვიეტ ფა.

კმაყოფილებით ლაპარაკობენ საქართველოზე, მშობლიურ სასწავლებელზე, სადაც ყველა პირობა აქვთ სწავლისა და გონივრული გართობა-დასვენებისათვის.

თბილისში არც ერთი ისტორიული ძეგლი არ დატოვეს უნახავი მოიარეს კახეთი და ქართლი. გორში დაათვალიერეს სტალინის სახლ-მუზეუმი, მოიხიბლნენ ბორჯომის სიმშვენიერით, განსაკუთრებით საქართველოს ზღვისპირეთი მოეწონათ.

გაგრა ლამაზიაო, ამბობენ ქართულად. აქ ყველაფერი კარგიაო.

სამი წლის შემდეგ დავბრუნდებით სამშობლოში, აქ ძალიან ს ჭირონი ვართ და მოუთმენლად გველოდებიანო.


გავა წლები...

სამშობლო ჭრილობებს მოიშუშებს.

ვიეტნამი იქნება თავისუფალ ბედნიერი და ლამაზი — ისეთი როგორიც საქართველოა.

საქართველო ჩვენს მეორე სამშობლოდ დარჩება, მარად სამსოვრო და კეთილად მოსაგონარი.

ჯემალ ჯიქია



სურათზე: ვიეტნამელი ახალგაზრდები მეცადინეობაზე.
ედვარდ გიგილაშვილის ფოტო



დიდებული სტარტი

თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართა ქუჩაზე ზეიმია. დიდი ხანია ჩვენი ფეხბურთელების ასეთი ჩინებული სტარტი არ გვინახავს. თვითონ განსაჯეთ, ზედიზედ დაამარცხო მოსკოვის „ტორპედო“, კიევის „დინამო“, მოსკოვის „სპარტაკი“, მინსკის „დინამო“ ხუმრობა საქმე როდია. უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ თბილისის „დინამო“ ერთ-ერთი იმ გუნდთაგანია, ვისაც განზრახული აქვს გამართოს ბრძოლები ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად.

27 მარტს თბილისელთა პირისპირ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი“ იდგა. ათასობით მაყურებლის გარდა, ამ მატჩს სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული ცნობილი სპეციალისტები და სპორტული მიმომხილველებიც ესწრებოდნენ. მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოფრინდა სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი გავრილ კაჩალინი.

თამაში ორმხრივი იერიშებით დაიწყო. გავიდა რამდენიმე წუთი და მოედნის ბატონ-პატრონი დინამოელები გახდნენ. მეტრვეელის, გივი ნოდიას, კუტივაძის ჩინებულ თამაშს სხვებმაც აუბეს მხარი და სპარტაკელები საკუთარ კარზე მიჯაჭვულნი აღმოჩნდნენ.

მეორე ნახევრის პირველსავე წუთზე გივი ნოდიამ კარგად გამოიყენა ძმის — ლევანის გადაცემა მარცხენა ფრთიდან და ანგარიში გახსნა, 79-ე წუთზე კი მოსკოველთა კარში მეტად ეფექტური ბურთი გაიტანა გურამ პეტრიაშვილმა.

2 აპრილს დინამოელთა მეტოქე მინსკის „დინამო“ გახლდათ. ამჯერადაც ქართველმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

კარგად დაიწყო ჩემპიონატი მოსკოვის „დინამომ“. ამიტომ მასთან შეხვედრას თბილისელები მოუთმენლად ელოდნენ. მატჩი, რომელიც გუშინწინ, 8 აპრილს გაიმართა, მეტად დაძაბული გამოდგა. თბილისელები გამუდმებით უტევდნენ მოსკოველთა კარს, მაგრამ ვერ იქნა და მისი აღება ვერ შეძლეს. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ამრიგად თბილისის „დინამოს“ 10 შესაძლებლიდან მოპოვებული აქვს 9 ქულა და სატურნირო ცხრილის სათავეში დგას.

5 თამაში 9 ქულა!

გურთეგის შეფარდება 9:2





უკანასკნელ მატჩებში თავი ისახელეს თბილისელმა ნახევარმცველმა გურამ პეტრიაშვილმა და მარცხენა თავდამსხმელმა ლევან ნოდიამ.

სურათებზე: გურამ პეტრიაშვილი (ზემოთ) და ლევან ნოდია შეტევაზე.

ვალერიან გენგიურის ფოტო.

ფეხბურთის გულშემატკივრებმა ზეიმით გააცილეს ვეტერანი ფეხბურთელები — სპორტის დამსახურებული ოსტატები შოთა იამანიძე და სერგო კოტრიკაძე. მათ პატივსაცემად სტადიონს კიდევ ერთხელ მოსწყდა მჭუხარე ოვაცია.

ჭადრაკი

როცა იმარჯვებს... გულშემატკივარი

მოსფილოს ექს-ჩემპიონი მიხეილ ტალი და საქართველოს უძლიერესი მოჭადრაკე ბუხუტი გურგენიძე მრავალჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. როგორიც უნდა იყოს მათი სატურნირო მდგომარეობა, მაყურებელი ამ შეხვედრის დღეს მძაფრი ბრძოლის მოწმე ხდება. ასე მოხდა საქართველოს 1970 წლის ჩემპიონატზეც, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ფოთში გაიმართა.

ტალი ამ შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილეობდა. რიგელმა დიდოსტატმა 11 ქულით ყველა მეტოქეს გაუსწრო. მეორე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ბუხუტი გურგენიძემ, რომან ჰინჭიხაშვილმა და ელიზბარ უბილავამ. საქართველოს ჩემპიონის გამოსავლინებლად მათ შორის დამატებითი ტური გაიმართება. სამივე მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში.

მაშ ასე, გთავაზობთ მიხეილ ტალისა და ბუხუტი გურგენიძის მიერ ფოთში გათამაშებულ პარტიას.

სიცილიური დაცვა

ჩვეულებრივ, როდესაც გურგენიძე პარტიას მეფის წინა პაიკით იწყებს, ტალი აუცილებლად სიცილიურ დაცვას მიმართავს. როდესაც თეთრი ფიგურებით ტალი თამაშობს, გურგენიძეც იმავე დაცვას ირჩევს. ადრინდელი დავა ფოთშიც გაგრძელდა.

1. e4 c5 2. ♘f3 ♘c6 3. d4 cd 4. ♕:d4 ♘f6 5. ♘c3 d6 6. ♗c4 e6

ყველაფერი ეს საჭადრაკო თეორიაში კარგად არის ცნობილი. „სოზინის იერიშის“ სახელწოდებით. თეთრები ისე განალაგებენ თავიანთ ძალებს, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში იერიში წამოიწყონ მეფის ფრთაზე. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ისევე, როგორც ამერიკელი დიდოსტატი რობერტ ფიშერი, ხშირად მიმართავს „სოზინის იერიშს“ და, უნდა ითქვას, დიდი წარმატებითაც. ეს კარგად იცოდა გურგენიძემ, რომელმაც მეტოქეს სიურპრიზი მოუმზადა.

7. ♗b3 a6 8. 0—0 ♘a5

აი სწორედ ამ სვლის იმედი ჰქონდა გურგენიძეს. თეორიულ სახელმძღვანელოებში რეკომენდებულია 8. ...♗e7, მაგრამ ამ შემთხვევაში თეთრები ახერხებენ იერიშის დაწყებას მეფის ფრთაზე. ხოლო თუ ტალს იერიშის შესაძლებლობა მიეცი, სახეიროს ნურაფერს მოელი! გურგენიძე კარგ გეგმას მიმართავს — შავები ჯერჯერობით მეფეს ცენტრში ტოვებენ და პირველნი იწყებენ აქტიურ თამაშს.

9. მფh1 ♖c7 10. f4 b5

მაშ ასე, შავები ემუქრებიან თეთრების მხედარს, რის შემდეგ დაუცველი რჩება ცენტრალური პაიკი. ისე რომ ტალის მომდევნო სვლა პრაქტიკულად იძულებითია. იგი ინიციატივის დაუფლების მიზნით მეტოქეს პაიკს სწირავს.

11. e5 de 12. fe ♗:e5 13. ♗f4 ♖h5. შესაძლოა. აქ უფრო ზუსტი იყო ჯერ ♗e5 14. ♗e3 და ახლა ♖h5. 14. მd5!

სიცილიურ დაცვაში თეთრებს არაერთგზის შეუწირავთ მხედარი ამ უჯრაზე, მაგრამ ახლა ტალის ეს ბრწყინვალე ტაქტიკური დარტყმა მაინც მოულოდნელი გამოდგა. როგორც პარტიის დეტალურმა ანალიზმა ცხადყო, ეს სვლა უდავოდ უძლიერესია. გურგენიძემ მეტისმეტად ზუსტად უნდა ითამაშოს, რათა უვნებელყოს თეთრების მუქარა.

14....ed ერთადერთი სვლაა. სხვა გაგრძელებები თეთრებისათვის იყო ხელსაყრელი.

15. ♘e1+

აქ სჯობდა 15. ♗e1+ მრავალრიცხოვანი მუქარით. ტალის მიერ გაკეთებული სვლაც ძლიერი ჩანს, მაგრამ გურგენიძის განკარგულებაში აღმოჩნდა ჩინებული თავდაცვითი მანევრი.

15....♘e6!

თუ ახლა 16. ♕:c6 fe 17. ♘e6 მფd7! შავებისათვის უკეთესი თამაშით. რა თქმა უნდა მყისვე აგებდა 17... მფf7. 16...g4!

ერთადერთი ტაქტიკური შესაძლებლობაა. სხვანაირად შავები იგებდნენ 16... ♗:g4 17. ♕:e6 fe

თუ ♗:d1, მაშინ 18. ♘c7+

18. ♗:g4 ♕:g4 19. ♘:d5 ♘b4!

თუ ახლა 20. ♘:a8 ♘:e1 21. ♘:e1 0—0 და შავები ტალის ორივე კუს ემუქრებიან. გურგენიძის თავდაცვითი მანევრი მეტად ლამაზი აღმოჩნდა.

20. c3 ♕f2+ 21. მფg2 ♕d3 22. ♘:e6+ მფd7 23. ♗g3 ♗e7

თუ ახლა 24. ♘:a8, მაშინ მფ:c6.

24. b4 ♕c4 25. a4 ♘f6!! 26. ♖d1 ♕db2 27. ♖de1 ♖hc8 28. a5 ♕d3 29. ♖:e4 ♕dc5 30. ♘:e5 ♕:e5 31. ♖6:e5 ♘:e5 32. ♘:a8

დაფაზე სრულიად თანაბარი მდგომარეობაა. ამიტომ მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ეს პარტია საქართველოს ჩემპიონატის მშვენება იყო. ეჰვგარეშეა, იგი მთელი მსოფლიოს საჭადრაკო პრესას მოივლის. მოგებული არც ტალი დარჩა, არც გურგენიძე, მაგრამ არის ერთი გამარჯვებული — ჭადრაკის გულშემატკივარი!

გივი გამრეკელი

ჭადრაკი

ქრონიკა

● მძლეოსანთა ტრადიციულ ასპარეზობებს კიდევ ერთი შეჯიბრება შეემატა. ეს გახლავთ ცნობილი ქართველი სპორტსმენის, XVII ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონის რობერტ შავლაყაძის პრიზის გათამაშება სიმაღლეზე სტომაში.

შეჯიბრება, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში მოეწყო, საკმაოდ საინტერესო გამოდგა. პრიზის მოსაპოვებლად 13 სპორტსმენი იბრძოდა. გაიმარჯვა მინსკელმა მძლეოსანმა ალექსანდრე კრასკომ, რომელიც 2 მეტრსა და 11 სანტიმეტრზე გადახტა. განზრახულია მომავალში ეს შეჯიბრება ტრადიციად იქცეს.

● ძალზე უხეიროდ გამოვიდნენ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში. ორი დამარცხება ნეაპოლის „ფილესთან“ (ნეაპოლში 18 ქულის სხვაობით, ხოლო თბილისში 83:88) კიდევ ერთხელ ადასტურებს აღრევე გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ „დინამოს“ მეტად მძიმე პერიოდი დაუდგა, რომელსაც კრიზისი ეწოდება.

● კიდევ ერთხელ გაგვახარა ნორჩმა ქართველმა მოცურავემ თინათინ ლეკვეიშვილმა. ლენინგრადში „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელშიც 10 ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები მონაწილეობდნენ, თინამ 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში საკმაოდ იოლი გამარჯვება მოიპოვა. ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი და ჩემპიონი, ევროპის თასის მფლობელი, კიდევ ერთხელ ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე. თინათინმა 200 მეტრზე გულაღმა ცურვის ფინალშიც ყველას აჯობა და ამასთან, 25-მეტრიანი აუზისათვის საკავშირო რეკორდი დაამყარა გოგონათა შორის. თინას დიდხანს მიჰყვებოდნენ მხარდამხარ გერმანელი კოპარდტი და ინგლისელი ბერელი, მაგრამ ქართველმა მოცურავემ შესანიშნავი ფინიშით ღირსეულ მეტოქეს ჩამოიტოვა. თინას შედეგია 2,99,8.

● 27 მარტს, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ კალენდარული მატჩის წინ, თბილისის სპორტულმა საზოგადოებამ საზეიმო გაცილება მოუწყო ვეტერან ფეხბურთელებს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს შოთა იამანიძესა და სერგო კოტრიკაძეს. მათი შეუდარებელი ოსტატობისა და ლამაზი თამაშის, მაყურებლის დიდი სიყვარულისა და აღიარების ნიშნად, სტადიონს კიდევ ერთხელ მოსწყდა მჭუხარე ოვაცია.

იამანიძისა და კოტრიკაძის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

● გრძელდება სპორტის დამსახურებული ოსტატის შოთა შავგულიძის სახელობის თასის გათამაშება რესპუბლიკის „ა“ კლასის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. 1 ქვეჯგუფში დაწინაურდა ტყიბულის „მეშახტე“, II ქვეჯგუფში ლიდერობს ლანჩხუთის „გურია“.

● ლვოვის სპორტის სასახლეში 8 დღეს მიმდინარეობდა სტუდენტ მოფარიკავეთა საკავშირო უნივერსიადა.

დაწინაურებულ მებრძოლთა შეხვედრები ქართველ სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა, ხოლო ქალთა შეჯიბრებაში მესამე ადგილი დავისაკუთრეთ.

კარგად იასპარეზეს ხმლით მოფარიკავეებმაც. ფინალში გასული 8 სპორტსმენისაგან სამი თბილისელი იყო. ყველას აჯობა ლორთქიფანიძემ, მეორე ადგილი კი სახვაძეს ხვდა. გუნდურ ასპარეზობაშიც თბილისელებმა იმარჯვეს.

106 ქულით საქართველოს მოფარიკავეებმა უნივერსიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს.

● გრძელდება საქართველოს პირველობა ფუხბურთში. დაწინაურდა ზესტაფონის „მეტალურგი“, რომელმაც 5 თამაშში 10 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილზეა წყალტუბოს „სქური“, მესამეზე—თბილისის „ისანი“.

● მოზარდ ჩოგბურთელთა საკავშირო პირველობაზე, რომელიც თბილისში მოეწყო, გოგონათა შორის პირველი ადგილი მოიპოვა თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა მარინე ელერდაშვილმა, ვაჟებში მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის 25-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელი ალექსანდრე ახვლედიანი.

ქრონიკა

უცხოეთის ვალუტის კურსის ბიულეტენი

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი

1970 წლის აპრილი

ვალუტის დასახელება		კურსი მანეთობით
ავსტრალიის დოლარი	1	1,01
ავსტრიის შილინგი	100	3,49
ავღანეთის ავღანი	100	2,01
არგენტინის პესო	100	25,71
აშშ-ს დოლარი	1	0,90
ახალი ზელანდიის დოლარი	1	1,01
ბელგიის ფრანკი	100	1,81
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მარკა	100	40,50
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მარკა	100	24,54
დანიის კრონი	100	12,01
ეგვიპტის გირვანქა	1	2,07
თურქული ლირა	100	10,00
ინდოეთის რუპია	100	12,00
ინგლისის გირვანქა სტერლინგი	1	2,1658
ირანის რიალი	100	1,19
იტალიის ლირა	1000	1,43
კანადის დოლარი	1	0,8393
კუბის პესო	1	0,90
მაროკოს დირჰამი	100	17,78
ნორვეგიის კრონი	100	12,61
პაკისტანის რუპია	100	18,92
საფრანგეთის ფრანკი	100	16,24
სირიის გირვანქა	100	23.68
საბერძნეთის დრაქმა	100	3,01
ურუგვაის პესო	100	0,36
შვეიცის კრონი	100	17,33
შვეიცარიის ფრანკი	100	20,89
ჰოლანდიის გულდენი	100	24,78

ჭარხლის სავზარეული

ხინკალი


500 გრამი ცხვრის ან ღორის, ან 300 გრამი ძროხისა და 200 გრამი ღორის რბილი ხორცი ცხიმიანად გარეცხეთ, დაჭერით, დაუმატეთ 3 თავი ხახვი, 3 ღერი ქინძი, 1 კბილი ნიორი და გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. მიღებულ მასაში შეურიეთ დანაყილი პილპილი და მარილი, მოზილეთ და დაასხით იმდენი წყალი, რამდენსაც შეიწოვს ხორცი აზელისას (დაახლოებით 1 ჩაის ჭიქა).

4 ჩაის ჭიქა ფქვილი დაყარეთ ცომის ფიცარზე, შუაში ჩააღრმავეთ, შიგ ერთი კვერცხი (ცილიან-გულიანად) ჩაახალეთ, ჩაასხით ერთი ჩაის ჭიქა წყალი; ჩაყარეთ გემოვნებით მარილი და მაგარი ცომი მოზილეთ (თუ პურის ფქვილი დაგაკლდეთ, დაუმატეთ). მოზელილი ცომი გააჩერეთ 20 წუთს. შემდეგ ცომი ძალიან თხლად გაშალეთ. ცომის გაბრტყელებისას საფანელი ცოტა უნდა იხმაროთ, რომ ხინკალი ნაზი გამოვიდეს. გაბრტყელებული ცომი დაჭერით მრგვალად — 8-10 სანტიმეტრი დიამეტრით. თითოეულ ნაჭერზე მოათავსეთ 1-2 სუფრის კოვზი მომზადებული ხორცი, შეუკარით თავი შუა ადგილას, გადაგრიხეთ, ზედმეტი ცომი მოგლიჯეთ და კუჭი დაუტკეპნეთ ისე, რომ მოხარშვისას არ გაიხსნას.

ქვაბში აადუღეთ წყალი, ჩაყარეთ შიგ მარილი და მდუღარეში ფრთხილად სათითაოდ ჩაუშვით გამზადებული ხინკალი. ხარშეთ, სანამ ხინკალი წყლის ზედაპირზე ამოტივტივდება (რასაც დასჭირდება დაახლოებით 15-20 წუთი — დუღილის მომენტიდან). მოხარშული ხინკალი წყლიდან ჭაფჭირით ამოიღეთ და სუფრაზე ცხლად მიიტანეთ.

იუმორი

გიგლა ფირცხალავა



— მხოლოდ შენ ეკერთს...

— რომ ღმერთიც გულუბრყვილოა...

აშშ, ვაინლანდი — ზაქარია ოქროპირიძეს

საყვარელო მამა!

37 წელიწადზე მეტია არ მინახიხარ, მაგრამ შენი სახე ჯერაც არ დამვიწყებია. 16 აპრილს 65 წელი გისრულდება. მართალია, სულ ჰატარა დამტოვე, მაგრამ მაინც ზუსტად მახსოვს შენი დაბადების თარიღი.

საყვარელო მამა! მე, დედა და მარო მამიდა სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას. გვინდა ნათელი დღეები არ მოგკლებოდეს და შენი „ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი“ სამშობლოს უნახველობის დარდიც გაგქარვებოდეს.

შენი მოსიყვარულე შვილი
მშობ ოქროპირიძე

გორში აღიმართა ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი



ვინ მოთვლის, რამდენჯერ მოიდრიკა მუხლი მადლიერმა შთამომავლობამ გენიოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნის წინაშე, რამდენი გაკეთდა ტატოს სახელის უკვდავსაყოფად...

ამჯერად ბარათაშვილის საძიდებელი სიტყვები გორში გაისმა. აქ 4 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა დიდი მგოსნის ძეგლი.

ძეგლის გახსნას დაესწრნენ ჩვენი სახელოვანი მწერლები, პოეტები, მხატვრები, მშრომელები, მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები.

ძეგლის ავტორია საქართველოს დამსახურებული მხატვარი, პროფესორი თენგიზ ღვინიაშვილი.

დაგეძებენ, მოგელიან

გრიგოლ მინას ძე კოკალეიშვილს,

დაბადებულს 1922 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში, ეძებენ დედა — **მარიამი**, მამა — **მინა**, და — **ზაირა**, ძმა — **ამირან კოკალეიშვილები**, მცხოვრებნი სოფელ ეწერში.

სარდიონ ფიდოს ძე ბაინდურაშვილს,

დაბადებულს 1920 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში, ეძებენ ძმა — **რამან**, და — **ქეთო**, ძმისწულები — **თემო, მარინე, ფრიდონ, იზო ბაინდურაშვილები**, მცხოვრებნი სოფელ მაღაროში.

აკაკი ანდრიას ძე მეტრეველს,

დაბადებულს 1920 წელს თბილისში, ეძებს დედა — **ნინო სოლომონის ასული მეტრეველი**, მცხოვრები თბილისში, რკინიგზის ქუჩა № 16.

ანეჭკოზ ალექსანდრეს ძე თასოევს,

დაბადებულს 1907 წელს ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში, ეძებენ მეუღლე — **ლუბა დანიელის ასული ჯაჯანიძე-თასოევისა** და შვილი — **ტელმანი**, მცხოვრებნი თბილისში, პლეხანოვის გამზირი № 172, № 12 ბინა.

დავით ტერენტის ძე ჩიკოვანს,

დაბადებულს 1918 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეში, ეძებს ძმა — **კოტე ტერენტის ძე ჩიქოვანი**, მცხოვრები თბილისში, არაყიშვილის II ჩიხი, № 6.

ვახტანგ ანტონის ძე საყვარელიძეს,

დაბადებულს 1920 წელს, ეძებენ დედა — **ვერა**, დები — **თინა, თამარ, ნათელა საყვარელიძეები**, მცხოვრებნი თბილისში, გოგოლის ქუჩა № 1.

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 86488

ფასი 5 კაპ.